


600  
1958

Խաչ



# ՀԱՅԿՈՎԱՆՈՒՑ ՀԱ ՄԵԽՈՒՆԱ

№5 Զ Ա Ռ Ե Ս Ո Ւ 1958



გ. ნიკოლა შვილი ჩვენი უცრნალის აწყობის დროს

ფოტო მ. სამოვისა.

# କୋଣାର୍କ ଶକ୍ତିକୀୟା

## ყოველთვისაგი მეცნიერება-კოსურაგები ქ ა ნ ა ღ ი

Nº 5

၁၂၆

1958

გამოცემის  
X  
წელი

ს ა კ ა რ ი თ ვ ა ღ მ ს ს ს ხ ა ც ვ ნ ი რ ა ხ ბ ა თ ა პ კ ა რ ე გ ი ს ს მ რ ი გ ა ნ მ

# ՀԱՅՈՐԴԵԿՆՈՒՄԸ ԷՎ ՀԱՅՈՐԵԼԵԿՑԻԱՆՈՒՄԸ ԾԱԿԱՑԱՐԿՐՎԵ ՑԱՅՐԿԵՆԵՐԸ

ე. ხაიდაგვირი

მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე



რაღიოტექნიკას სამოც წელზე ცოტა მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ თავისი განვითარებით მან ბევრად წინ გუაშრო მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებს.

განსაკუთრებით განვითარდა რა-  
დიოტექნიკა ჩვენს ქვეყანაში. საბჭო-  
თა რადიოცენტრები და რადიოსაფ-  
გურები ახლა აღვაზმულია სამამუ-  
ლო მრეწველობის პირველხარისხო-  
ვანი რადიოგადამცემებით, მიმღები  
მოწყობილობითა და ავტომატური  
ასოთმებეჭდავი სწრაფმოქმედი ტელე-  
გრაფილი აპარატებით.

რადიოტექნიკის ასეთი განვითარება დაკავშირებულია მისი გამოყენების მასშტაბების გაზრდასთან, რადიოშემოსახურების ზრდასთან.

რაღიომიმდები გადაიქცა მასობრივი მოხმარების საგნალ.

მრავალი რადიომაუწყებელი საღ-  
გურის გადმოცემებით სარგებლობს  
რადიომსმენელთა მილიონები.

რადიომსმენელთა კულტურისა და  
მოთხოვნილების გაზრდის შესაბამი-  
სად რადიომაუწყებლობის განვითა-  
რების ახალი საფეხური გამოიხატება  
ტელევიზიის შექმნით.

ტელევიზია (ტელეხელფა) არის  
რადიოს საშუალებით ცოცხალ არსე-  
ბათა და მოძრავი საგნების მანძილზე  
დაახვა.

ჩევულებრივი გამოყენების გარდა  
ამჟამად იგი წარმოების მხედვე-  
ლობითი კონტროლის საშუალებას

იძლევა და საგრძნობლად აადვი-  
ლებს, მაგალითად, რკინიგზის მსხვი-  
ლი კვანძის დისპეტჩერის მუშაობას  
და სხვა.

რადიოტექნიკამ ახალი პერსპექტი-  
ვები დაგვისახა. მის ძლევამოსილ  
განვითარებას საზღვარი არ აქვს,  
მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეზიტ-  
რა, რომ რადიოელექტრონიკის გამო-  
ყენების სფერო განისაზღვრება მხო-  
ლოდ უსადენო ელექტრონკაშირგაბ-  
მულობით, რადიომაუწყებლობითა  
და ჭალავიზით.

რაღიორტექნიკური მეოთოდები დიდი  
ხანია უკვე გამოვიდა ამ საზღვრები-  
ლან. მაღალი სიხშირის დენები ღრმად  
შეიჭრა მეცნიერებისა და ტექნიკის  
სხვადასხვა დარგში და მოიპოვა  
ფართო გამოყენება სახალხო მეურ-  
ნეობაში.

ავიაციის საჭიროებისათვის შეიქ-  
მნა რადიოტექნიკის ახალი დარგი —  
რადიონავიგაცია, ანუ საპარო ხო-  
მალების მართვა დელამიწაზე დად-  
გმული რადიოშუქურების და თვით-  
მფრინავის რადიოკომპასების საშუა-  
ლებით. ამ მოწყობილობათა მეშვე-  
ობით მფრინავს ქარბუქისა და ნის-  
ლის დროს, დღისითა და ღამით გა-  
ბედულად მიჰყავს საპარო ხომალ-  
დი.

რადიოტალღების არეკვლის პრინციპმა ფართო გამოყენება პოვა რადიოლოგუაციაშიც. რადიოლოგუატორი, რომელიც საშუალებას იძლევა დაზ

მანქილზე აღმოვაჩინოთ თვითმფრინა-  
ნავები, გემები და სხვა საგნები, წარ-  
მოადგენს ულტრამოკლეტალიან  
რადიოსადგურს. იგი შედგება იმ-  
პულსური რადიოგადამცემის, სპეცი-  
ალური ანტენის, რადიომიმღებისა და  
ინდიკატორული მოწყობილობისაგან.

რადიოგადამცემის მუშაობის დროს  
ლოკატორის ანტენა ხანმოკლე დიდი  
სიმძლავრის იმპულსების სახით სივ-  
რცეში განსაზღვრული მიმართულე-  
ბით ასხივებს რადიოტალღებს. თუ  
ეს რადიოტალღები გაფრცელების  
გზაზე შექვედება, ვთქვათ, თვითმფრი-  
ნას, მასზე დაცემული რადიოტალ-  
ღების ნაწილი მისგან აირეკლება და  
ანარეკლი ტალღების იმპულსებს მი-  
იღებს რადიოლოკატორის მიმღები.

ინდიკატორული მოწყობილობა აღ-  
ნიშნავს როგორც რადიოგადამცემის  
იმპულსების გაგზავნის, ასევე ანა-  
რეკლი იმპულსების მიღების მომენ-  
ტსაც. ეს იმპულსები ელექტრონსხი-  
ვური მილაკის ეკრანზე აღინიშნება  
ვიზურო, მნათი მწვერვალების სახით.  
მანძილი ამ მწვერვალებს შუა იქნება  
პროპორციული დროის იმ შორისე-  
თისა, რომლის განმავლობაში რადიო-  
ლოგატორის მიერ გამოსხივებული  
იმპულსი მიაღწევს მიზანს (მაგალი-  
თად თვითმშერინავს) და მისგან  
არეკვლის შემდეგ დაბრუნდება უკან.

ରାଜୀନାଳଙ୍ଗୁଆତିନୀର ସାର୍ଥ୍ଯାଲ୍ୟବାସ  
ଗ୍ରାମକଣ୍ଠେ ଅଳମଗ୍ରହିନୀର ତତ୍ତ୍ଵବିଦ୍ୟାରୀ-  
ନାବୀ, ଗ୍ରେମି ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠ ପାଦିକାରୀ, ଚାର୍ମିଲିଂଗମ

განვსაზღვროთ მისი მიმართულება და ჩვენგან დაშორების მანძილიც. ამავე დროს ეს შეიძლება დღე-ღამის ნებისმიერ დროში ამინდისა და ხილვადობის პირობათა მიუხედავად.

რადიოელექტრონიკა დამკვიდრდა

სოფლის მეურნეობის ელექტრო-ჟიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დამუშავებულია მეთოდები და შექმნილია მთელი რიგი მძლავრი აგრეგატები თანამდებობის, აბრეშუმის პარკის, სიმინდის, ჩაის, რადიოტელეფონის ერა. მრავალი სახის, სიმძლავრის, კონსტრუქციისა და დანიშნულების ელექტრონული და იონური მიღლაკები წარმოადგენს თანამედროვე რადიოასარატურის საფუძველს.


საინტერესო და პოპულარული ელექტრონული ხელსაწყოა ფოტოელემენტი, რომლის საშუალებით სინათლის ენერგია გარდაიქმნება ელექტრონერგიად.

ფოტოელემენტები ფართოდაა გამოყენებული ხმოვან კინოში, ფოტოტელეგრაფიაში, ტელევიზიასა და რადიოასტრონომიაში. ფოტოელემენტები იძლევა გამაფრთხილებელ ნიშანს საშიშ გაცხელებაზე, ავტომატურად ჩართავს და გამორთავს განათებას, ფერისა და ზომის მიხედვით ახარისხებს ხილს და სხვადასხვა ნაწარს.

ფოტოელექტრული გასამრავლებელი, რომლის მოქმედების პრინციპი აიხსნება მეორეული ელექტრონული ემისიით, შესაძლებლობას ქმნის რამდენიმე ასეულ ათასჯერ გავადიდოთ ფოტოდენი.

ფოტოელემენტი შესანიშნავი ელექტრული თვალია, რომელიც გრძნობს არა მარტო ხილული სინათლის სხივებს, არამედ უხილავსაც: კარგად ხედავს სიბნელეში. ფოტოელემენტებს უდიდესი მნიშვნელობა და გამოყენება აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში.

საინტერესო ხელსაწყოებია ე. წ. საკეტფენიანი ვენტილური ფოტოელემენტები, რომლებიც სინათლის ენერგიის მიქმედებით თვითონ იქცევა ელექტრული ენერგიის გენერატორად. მათ არ სჭირდებათ მასაზრდოებელი ბატარეა. ეს კი საშუალებას გვაძლევს ასეთი ფოტოელემენტები გამოვიყენოთ სპეციალურ სქემებში, სადაც არ არის ელექტრონული სტრუქტურის შესრულებული.



ნახ. 1. რადიოლიკოსური სადგურის ჩონჩხური სქემა: 1—რადიოგადამცემი, 2—იმპულსების გენერატორი, 3—ანტენის გადამრთველი, 4—ანტენა, 5—რადიომიმღები, 6—ინდიკატორი, 7—ელექტროკვების მოწყობილობა

გეოდეზიასა და ტოპოგრაფიაში. აკადემიკოსების ლ. ი. მანდელშტამისა და ნ. დ. პაპალეკის გამოკვლევათა შედეგად რადიოტალღების დახმარებით შესაძლებელი გახდა შორეული მანძილის უდიდესი სიზუსტით გაზომვა.

რადიოელექტრონიკა ფართოდ არის გამოყენებული სამედიცინო აპარატურაში. იგი შეიძრა სოფლის მეურნეობაშიც.


ბოსტნეულისა და ხილის საშრობად. ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედების შედეგად ჩქარდება ზოგი მარცვლოვანი მცენარის თესლის ალმოცენება, ნაყოფი უფრო აღრემწიფდება და კარგ მოსავალს იძლევა.

ელექტრომაგნიტური რხევები შეიძლება გამოვიყენოთ საკვები პროდუქტების, ხორცის, ხილისა და კონსერვების სტერილიზაციისათვის.

ბოლო ხანებში დამუშავებულ იქნა კაჟბაძის ვენტილური ფოტოელემენტი მზის ენერგიის ელექტროენერგიად უშუალო გარდაქმნისათვის.

ნახევრადგამტარებმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა რადიო-ელექტრონიკაში, მცირე ზომის გრძელიუმის კრისტალური დიოდები და ტრიოდები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება რადიომიმღებების, გამაძლიერებლების და გამმართველების სქემებში, ელექტრონულ მათემატიკურ მანქანებში, ავტომატიკის სქემებში, თერმოელექტროგენერატორებსა და სხვა ხელსაწყოებში.

კრისტალური ელექტრონული ხელსაწყოების თავისებურებაა ელექტრო-




ნახ. 2. ფოტოელემენტი

ქერგიის მცირე ხარჯი. ისინი გამოირჩევიან მაღალი მექანიკური გამძლეობით და საიმედოდ მუშაობენ — მრავალი ათასი საათის განმავლობაში. მცირე ჭონა-ზომის გამო ნახევრადგამტარიანი ხელსაწყოები საშუალებას იძლევა მათ ბაზაზე შევქმნათ უმცირესი ზომის რადიოტექნიკური აპარატურა (მაგალითად, პაპიროსის კოლოფის მოცულობის საკმაოდ რთული სქემით აგებული ჯიბის რადიომიმღები).

ნახევრადგამტარების ფრიად საინტერესო და დიდ მომავალს განსაზღვრავს ისიც, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია სითბური ენერგიის

უშუალო გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად და პირიქით.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნახევრადგამტარისაგან დამზადებული თერმოელემენტები



ნახ. 3. სხვადასხვა ტიპის კრისტალური ტრიოდები

შეიძლება გამოიყენოთ როგორც ელექტროდენის წყარო.


თერმოელემენტების საინტერესო პრაქტიკულ გამოყენებას წარმოადგენს რადიოპარატურის კვებისათვის ელექტროენერგიის მიღება ისეთ ადგილებში, სადაც ელექტროდენი არაა. ასეთ ხელსაწყოებს თერმოელექტრულ გენერატორებს უწოდებენ. მე-4 ნახ.-ზე ნაჩვენები თერმოელექტრული გენერატორი (მარცხნივ) იძლევა ელექტროენერგიას, რომელიც საკმარისია ბატარეული რადიომიმღების კვებისათვის.

არსებობს უფრო დიდი სიმძლავრის თერმოელექტრული გენერატორებიც (ნახ. 4, მარჯვნივ). ახალი თერმოელემენტების შექმნა და მარგი ქმედების კოეფიციენტის გადიდება მათი გამოყენების სულ ახალ და ახალ პერსპექტივებს ქმნის. სავსებით შესაძლებელია მომავალში დიდი სიმძლავრის თერმოელექტრული ბატარების შექმნა სხვადასხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანადგარისათვის.

შესაძლებელია აგრეთვე (განსაკუთრებით სამხრეთ ქვეყნებში) სითბური ენერგიის უმძლავრესი გენერატორის — მზის გამოყენება სითბოს წყაროდ.

ნახევრადგამტარები ხასიათდება კიდევ ერთი შესანიშნავი თვისებით; თერმოელექტრულ ბატარეაზი დენის გავლის დროს მათი შეერთების ადგილები დენის მიმართულების მიხედვით შეიძლება გაცხელდეს ან გაცივდეს. თერმოელექტრული ბატარეით გამოწვეულ გაცივებას უკვე იყენებენ ელექტრომაცივართა მოწყობილობებში.

ნახევრადგამტარების ტექნიკა სულ უფრო ახალ და ახალ გამოყენებას პოულობს, მათ შორის ელექტროძა-



ნახ. 4. თერმოელექტრული გენერატორები

ღურ მეურნეობაშიც. სიბრტყითი ელექტროდებიანი მძლავრი ნახევრადგამტარი გამმართველებით შეიძლება მუდმივ დენად დიდი ძალის ცვლადი დენის უშუალო გარდაქმნა. მომავალში ისინი რეალურ შესაძლებლობას შექმნიან ელექტრომავლების ცვლადი დენით კვებისათვის.

უკვე დამუშავებულია ცვლადი დენის კაჟადიანი გამმართველები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დიდი სიმძლავრის ცვლადი დენის გამართვა და რომელთაც ახასიათებთ მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი.

საინტერესო ხელსაწყოა თანამედროვე ელექტრონული მიკროსკოპი, რომელიც იძლევა 30-40 ათასჯერ გადიდებას.

უფრო მეტად საინტერესოა ცოტა ხნის წინათ დამზადებული ახალი იონური ემისიური მიკროსკოპი, რომელიც 5-10 მილიონჯერ ადიდებს გამოსახულებას, ე. ი. გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ელექტრონული მიკროსკოპი. მისი საშუალებით შესაძლებელია ცალკეული ატომის დანახვა და ფოტოგრაფირებაც.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მიღწევაა ავტომატური ელექტრონული მათემატიკური მანქანების შექმნა, რაც რადიოელექტრონიკის ფართო გამოყენების შედეგია.

ჩვენი სამამულო მრეწველობა

შსხვილი გამოსათვლელი ცენტრებისათვის უშვებს მძლავრ უნივერსალურ ელექტრონულ მანქანებს, რომლებიც შეიცავს სქემაში ათ ათასამდე ელექტრონულ მილაკს და კრისტალურ ელექტრონულ ხელსაწყოებს. ისინი აწარმოებენ გამოანგარიშებებს რამდენიმე ათასი ოპერაციის სიჩქარით წამში.

კიდევ უფრო საოცარია ისეთი ელექტრონული მანქანები, რომლებსაც შეუძლია ავტომატურად თარგმნოს ტექსტი ერთი ენიდან მეორეზე.

უკვე დამუშავებულია ისეთი ელექტრონული მანქანები, რომლებიც აწარმოებენ დაბჭედილი ტექსტის ხმამაღლა კითხვას.

უკანასკნელ ათეულ წლებში რადიოელექტრონიკამ დიდი დახმარება გაუწია ასტრონომიას.

რადიოასტრონომია ციურ სხეულთა მიერ გამოსხივებულ რადიოტალღებზე დაკვირვების გზით საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად შევისწავლოთ მათი აგებულება, კოსმოსური სხივების წარმოშობა და მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს შორეულ კოსმოსში.

ასეთი დაკვირვებებისათვის იყენებენ სპეციალურ ხელსაწყოს — რადიოტელესკოპს. ის წარმოადგენს მაღალი მგრძნობიარობის რადიომიმღებ მოწყობილობას, რომელიც შეერთებულია რთული კონსტრუქციის მახვილმიმართულებიან ანტენასთან.

ფოტოელექტრომეტრიამ ბევრად გაადიდა ასტრონომიულ დაკვირვებათა სიზუსტე.

რადიოტექნიკასა და ელექტროტექნიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში, საპლანეტთაშორისო ხომალდების მანძილზე მართვისათვის. ასტრონავტიკა საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა რადიოტექნიკური ხელსაწყოებისა და რადიოელექტრონულ მოწყობილობათა დახმარების გარეშე. რადიოს გარდა არ არსებობს მანძილზე რაკეტების მართვისა და მათთან კავშირის დამყარების სხვა ხერხი.

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის რადიოტელემეტრულმა აპარატურამ უზრუნველყო რადიოს საშუალებით განზომილებათა შედეგების დედამიწაზე გაზაცემა. ეს განხორციელდა სპეციალური აპარატურისა და ორი რადიოგადამცემის საშუალებით.

რადიოელექტრონიკა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ და ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იქნება მისი სულ ახალი და ახალი გამოყენება მომავალში.

რადიოს გამომგონებელი ა. პოპოვი ოცნებობდა, რომ მისი დიდი აღმოჩენა სამსახურს გაუწივდა კაცობრიობის პროგრესის და კულტურის საქმეს. ეს ოცნება უკვე განხორციელებულია ჩვენს ქვეყანაში — რადიოს სამშობლოში.



მიმღებარე წლის 17 აპრილს ბელგიის დედაქალაქ ბრუსელში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობს 50 ქვეყანა და რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია (გაერთიანებული ერები, წითელი ჯვარი და სხვ.). იგი კაცობრიობის მიღწევათა თავისებური დათვალიერებაა. გამოფენის მონაწილე ქვეყნები აჩვენებენ თავიანთ მიღწევებს ტექნიკის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში, რაც მოპოვებულია ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ხეიზელის პარკი, სადაც მოწყობილია აღნიშნული გამოფენა, წარმოადგენდა უზარმაზარ სამშენებლო მოედანს, რომელზეც დილიდან საღამოდე დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. ამჟამად აქ აღმართული უჩვეული ფორმის პავილიონები ქმნის. ქუჩებს, რომლებიც ჩაფლულია ცაცხვისა და ნეკერჩელის ხეივნებში, ფართო მოედნებს უზარმაზარი შადრევნებით, „წყლის კიბეებით“ და კამკამა ტბებით.

ხეიზელის პარკი ბრიუსელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ტერიტორია 200 ჰექტარს უდრის. როცა გამოფენის ტერიტორიაზე ხართ, გვინდით ნახევარი საუკუნით გაუსწარით დროთა მსვლელობას და აღმოჩნდით მომავლის ქალაქში, რომელიც აგებულია მინის, ბეტონისა და ალუმინისაგან.

საერთაშორისო გამოფენის საერთო ხედი დამთვალიერებულებს შეუძლიათ ყველაზე უკეთესად დაინახონ საბაგირო გზიდან, რომელიც გაჭიმულია პავილიონების სახურავების სიმაღლეზე, ან პარტიდან — შევლმფრენების მეშვეობით. საინტერესოა შევნიშნოთ, რომ გამოფენის ტერიტორიის დათვალიერების დროს ფეხით გასავლელი გზის სიგრძე თითქმის 26 კმ-ს უდრის.

სათაურში: საბჭოთა კავშირის პავილინი ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე,



## საერთაშორისო გამოფენა ბრიუსელში

დიდი ინტერესს იწვევს ლითონის გიგანტური ნაგებობა „ატომიუმი“. ესაა კაცობრიობის მომავლის, ატომისა და ფოლადის საუკუნის სიმბოლური გამოხატულება. მისი სიმაღლე 110 მ-ს უდრის. ატომიუმის სფეროები, რომლებიც რკინის მოლეკულების გიგანტურ სქემას წარმოადგენს (გადიდებულია 150 მილიარდზე), ბრწყინავს გაზაფხულის მზის სხივებში. მისი ცხრა სფერო ერთმანეთთან შეერთებულია ლითონის მილებით, რომელთა შიგნით მოთავსებულია კიბეები და ლიფტები. თითოეული სფეროს დიამეტრი 18 მეტრია. ერთ-ერთ სფეროში მოწყობილია რესტორანი.

„აღამიანი და პროგრესი“ — ასეთია ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენის დევიზი. გამოფენის მონაწილეთა შორის საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია როგორც პავილიონის მასშტაბებით, ისე ექსპონატების სიუხვით და მრავალფეროვნებით.

საბჭოთა კავშირი 1924 წლიდან ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე. მათგან აღსანიშნავია პარიზის (1937 წელს) და ნიუ-იორკის (1939 წელს) გამოფენები. უაღრესად დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა პავილიონს ნიუ-

იორქში. დამთვალიერებელთა რაოდენობის მხრივ (16,5 მლნ კაცი 5 თვეში) მან პირველი ადგილი დაიკავა.

ომისშემდგომ ჩვენი ქვეყანა მონაწილეობდა 80 საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, რომლებიც 77 მლნ-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. მაგრამ არსად ისე ფართოდ არ ყოფილა წარმოადგენილი საბჭოთა კავშირი, როგორც ამჟამად ბრიუსელში. ეს გამოფენა საშუალებას გვაძლევს ერთხელ კიდევ გაჩვენოთ უპირატესობა სოციალიზმისა, რომელმაც მთელ რიგ ქვეყნებში გაიმარჯვა.

საბჭოთა პავილიონი ერთ-ერთი ულიდესია. იგი გამოირჩევა თავისი მონუმენტურობით, ხაზების სიმკაცრით, ამასთან სიმსუბუქითა და არქიტექტურული ფორმების სიფარიზით. მას მინის უზარმაზარი პარალელეპიდების ფორმა აქვა. შენობის კედლები, რომლებიც გაკეთებულია მინისა და ალუმინისაგნ, ნახევრადგმურვალეა. სახურავი და მინის კედლები ღაუდებულია გვარებზე, რომლებიც ეშვება ფოლადის საყრდენებიდან. ღარბაზები და კიბეები ისეა განლაგებული, რომ მნახველთა მხედველობის არეშია არა მარტო ექსპოზიციის მეზობელი

განყოფილებები, არამედ პავილიონი მთლიანად.

საბჭოთა პავილიონის სიგრძეა 150, სიგანე — 72, სიმაღლე — 22 მ. პავილიონის ზომებზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მაგალითი: ყველა ექსპონატი რომ დაათვალიეროს, მნახველმა უნდა გაიაროს დაახლოებით 6 კმ. საინტერესოა მეორე ციფრიც: ექსპონატების მოძრაობაში საჩვენებლად (განათების ჩაუთვლებლად) საჭიროა იმდენი ელექტრული ენერგია, რამდენსაც ხარჯავს ქალაქი 25 ათასი მცხოვრებით.

საბჭოთა პავილიონის შესასვლელის წინ მარცხნა მხარეს აღმართულია ლითონის 60-3-იანი ობელისკი, რომელზეც სსრ კავშირის სახელმწიფო აღამი ფრიალებს.

საექსპოზიციო მოედანზე, რომლის ფართობიც 21.800 კვ მ-ს უდრის, განლაგებულია სხვადასხვა ექსპონატი. საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციის ძირითადი მიზანია ნათლად აჩვენოს სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობა, ის ჰქონდარიტად უზარმაზარი მიღწევები, რომლებიც 40 წლის მანძილზე მოპოვებულია საბჭოთა ხალხის მიერ.

პავილიონში 18 განყოფილებაა: მრეწველობა, დედამიწის საბჭოთა ხელოენური თანამგზავრები, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სსრ კავშირში, ატომური ენერგია მშენებინანი მიზნებისათვის და სხვ.

ჩვენი დროის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება კოსმოსში. საბჭოთა ქვეყანაში სინამდვილედ აქცია კაციონიობის ეს უძველესი ოცნება. განყოფილება, რომელიც მიძღვნილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისადმი, მოიცავს ასეთ თემებს: დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრები, რაკეტული ტექნიკის განვითარებაშა სსრ კავშირში და მეცნიერული კვლევებისა და თანამგზავრთა მეშვეობით.

ნამგზავრების ნატურული ნიმუშები; სეჭმები შიგნითა მოწყობილობებისა; ნატურული ნიმუშები მეორე თანამგზავრების ორი ხელსაწყოსი: მზის ულტრაიისფერი და რენტგენული გამოსხივების გამოკვლევებისათვის და კოსმოსური სხივების შესასწავლად და სხვ.

X X საუკუნე აღინიშნა კაცობრიობის გენის კიდევ ერთი უდიდესი მოვლენით — ატომის საიდუმლოებაში შეღწევით და თავისი სიმძლავრის მიხედვით აქამდე უცნობი ენერგია განვიდობინი მიზნებისათვის“ თვალსაჩინოდ და დაწვრილებით მოვითხოვს ჩვენს მიღწევებს ამ დარგში. აქ წარმოდგენილია როგორც მოქმედი, ისე მშენებლობაში მყოფი სამი ატომური ელექტროსადგურის მაკეტი; პანორამა „ყინულმჭრელი ლენინი“ პოლარულ რეისზე და თვით ყინულმჭრელის მაკეტი. გარდა ამისა დამოვალიერებლები ნახავენ მრავალ ხელსაწყოს, რომლებიც ატომური ენერგიით მუშაობს.

ცენტრალურ დარბაზში მოთავსებულია განყოფილებები, რომლებიც ასახავს საბჭოთა მრეწველობისადმი, წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი ქსოვილის, ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის ნიმუშები, აგრეთვე ბეწვეული, ნოხები, ბროლისა და ფაიფურის ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია საბჭოთა საწარმოებში.

განყოფილება — „მრეწველობა“ მოვითხოვს საბჭოთა ინდუსტრიის მაღალ ტექნიკურ დონესა და განვითარების სწრაფ ტემპებზე. აქა მეტალურგიული კომბინატის მოდელი, სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მოქმედი მაკეტი, ლითონისაჭრელი ჩარხების ახალი ნიმუშები, სხვადასხვა მანქანა, ჩარხები პროგრამული მართვით, ავტომობილის ახალი მარკები, ექსკავატორები და სხვ. წარმოდგენილია აგრეთვე უახლესი თვითმფრინავების — ТУ-114, ИЛ-18, АН-10, შვეულმფრენების, თბომავლების,

წყალქვეშაფრთხებიანი ხომალდებები და სხვ.

განყოფილება — „სოფლის მეურნეობა“ ისეა მოწყობილი, რომ დამთვალიერებლები რაც შეიძლება კარგად გაეცნონ იმ ტიტანურ სამუშაოს, რომელიც საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა ჩატარეს მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესაქმნელად. განყოფილებაში ასახულია გარდაქმნები საბჭოთა სოფლის ყოფაცხოვრებასა და შრომაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა; ნათლად ჩანს, როგორ იქნა ათვისებული 36 მლნ ჰექტარი ყამირი მიწა.

პავილიონის ექსპოზიცია კარგად ასახავს ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდას, კომუნისტური პარტიის ზრუნვას საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის.

განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია მსუბუქი მრეწველობისადმი, წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი ქსოვილის, ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის ნიმუშები, აგრეთვე ბეწვეული, ნოხები, ბროლისა და ფაიფურის ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია საბჭოთა საწარმოებში.

გამოფენის სპეციალური განყოფილებები მიეძღვნა სსრ კავშირის სამკურნალო დაწვესებულებებს, საბჭოთა მედიცინის მიღწევებს, კურორტებს, დასასვენებელ სახლებს, სპორტს, მშრომელთა დასვენებას, პროფესიონალურ მშენებლობას, ქალთა მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, ბავშვებზე ზრუნვას და სხვ.

პავილიონის მნახველები გაეცნიანი კულტურული მშენებლობის მდგომარეობას სსრ კავშირში, სოციალისტური კულტურის თავისე-

## ახალი პოლონები გრაქტორები

ბურებებს, მის კეშმარიტად ხალხურ ხასიათს. ჩვენს პავილიონში გამოფენილია ფერწერის 50, სკულპტურის 30 და გრაფიკის 200 ნაწარმოები.

საბჭოთა პავილიონში მოწყობილია 40 კინოექრანი, რომელზეც ნაჩვენები იქნება საბჭოთა ხალხის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური კინოურნალები. გარდა ამისა პავილიონთან აგებულია 950-ადგილიანი კინოდარბაზი, მოწყობილია აგრეთვე სპეციალური ტელეცენტრი.

საბჭოთა ექსპონატები მოთავსებულია აგრეთვე მეცნიერების საერთაშორისო სასახლეში. მის ოთხ განყოფილებაში — „ატომი“, „მოლეკულა“, „კრისტალი“ და „ცოცხალი უქრედი“ ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა ნაშრომები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის დარგში.

ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენა დიდი მოვლენაა საერთაშორისო ცხოვრებაში. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი. რომელსაც მის მიმართ ყველა ქვეყანაში იჩენენ. გამოფენა ექვს თვეს გაგრძელდება. წინასწარი გაანგარიშებით მას დაათვალიერებს 50 მლნ.-ზე მეტი კაცი, რომელებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩავლენ იქ.

გამოფენა მნიშვნელოვანი წვლილია სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საქმეში. იგი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და ხალხთა დაახლოებას.

პირველი პოლონები ტრაქტორი გამოშევაშულ იქნა 1946 წლის 1 მაისს. მას შემდეგ კომპინატის — „ურუს“ კონვეიერიდან ჩამოდიოდა „ურუსის“ ტიპის ტრაქტორები. ესენა არ იყვნენ ყველაზე თანადროული მანქანები. მიუხედავად ამისა ასეთი ტრაქტორების რამდენიმე ათეული ათასი ცალი კარგად მიიღო პოლონეთის სოფლის მეურნეობაში.

ქარხნის გაფართოების შემდეგ შეიქმნა პირობები ახალი ტიპის ტრაქტორების დამუშავებისათვის. საკინანსტრუქტორო ბიურომ ინ-

სპეციალისტების შეფასებით, ეს ტრაქტორი უნივერსალური მანქანა იქნება. ამ მანქანების პირველი პარტია გასაყიდად გამოვიდა 1959 წლის მეორე ნახევარში.

П-308 ტრაქტორის გამოშევება დაიწყება წლებს. ესაა ტრაქტორი ბალ-ბოსტნეულისათვის. ასეთი მანქანის საჭიროება პოლონეთში საკმაო ხანია იგრძნობოდა არა მარტო სახელმწიფო, არამედ კომპეტუატიულ საზოგადოებებში. ამიტომ П-308 ტრაქტორზე დიდი მოთხოვნილება იქნება. ტრაქტორზე დაყენე-



ჟინერ მაზურის მეთაურობით დაიწყო ახალი კონსტრუქციის მანქანების დამუშავება. უკვე შექმნილია ტრაქტორის რატენიმე ტიპი, რომელთაგან ორი П-308 და П-325 მიღებულია სერიული წარმოებისათვის.

ტრაქტორი П-325 ძირითადად განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კომპერატორებისათვის. ტრაქტორზე დაყენებული ძრავას სიმძლავრეა 25 ც. ძ. წონა — 1390 კგ. სამუშაო სიჩქარე — 1.6-დან 20.5 კმ საათში. ტრაქტორს აქვს ჰიდრაულიკური ამწე.

ბულგა ძრავა, რომლის სიმძლავრეა 8 ც. ძ. მას აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღთა კომპლექტი: გუთანი, კულტივატორი, ფარცხი, ორი—დიდი და პატარა მისაბმელი.

„ურუსის“ ქარხნის ინჟინერთა კოლექტივი ტრაქტორის ამ ორ ტიპზე არ შეჩერდება. ქარხანა სულ უფრო ფართოვდება და მალე დაიწყებს ახალი ტიპის მანქანების წარმოებას.

ს ურათზე: ტრაქტორი П-308 ქარხანა „ურუსის“ ეზოში

# თერმობირთვული მნიშვნელი მომავალის მნიშვნელოვანი საწყალი\*

აკადემიკოსი ი. კუჩავაშვილი

XX საუკუნის პირველი ნახევარი დასრულდა მეცნიერების უდიდესი გამარჯვებით — მძიმე ატომის ბირთვების — ურანისა და თორიუმის ენერგიის უზარმაზარი მარაგის გამოყენების პრობლემის ტექნიკური გადაწყვეტით. ამგვარი საწვავი, რომელიც ატომურ ქვაბებში იწვის, არც ისე ბევრია დედამიწის ქერქში. თუ დედამიწის მთელ ენერგეტიკას ამ საწვავზე გადავიყენოთ, მაშინ ენერგიის მოხმარების ზრდის თანაბეჭროვე ტექნიკური გადაწყვეტილების ურანი და თორიუმი საკმარისი იქნება მხოლოდ 100-200 წელს. ამ დროში ამოიწურება ქვანახშარისა და ნავთობის მარაგიც.

XX საუკუნის მეორე ნახევარი იქნება თერმობირთვული ენერგიის საუკუნე. თერმობირთვულ რეაქციებში ენერგიის გამოყოფა ხდება წყალბადის ჰელიუმად გადაქცევის პროცესში. სწრაფად მიმდინარე თერმობირთვული რეაქციები განხორციელებულია წყალბადის ფუმბარებში, რომლებიც აქვს ჩვენს ქვეყანას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს. ამჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის წინაშე დგას ამოცანა თერმობირთვული რეაქცია განხორციელდეს არა აფეთქების, არამედ შშვილად მიმდინარე პროცესის სახით, რომლის მართვაც შესაძლებელია. ამ ამოცანის გადაწყვეტა საშუალებას მოვცემს დედამიწაზე არსებული წყალბადის ფუზარმაზარი მარაგი გამოვიყენოთ ბირთვული საწვავის სახით.

თერმობირთვულ რეაქტორებში დაწვავენ არა ჩვეულებრივ, არამედ მძიმე წყალბადს. თერმობირთვული რეაქცია, რომლის მართვა შესაძლებელია, ყველაზე აღვალად განხორციელდება დეიტერიუმისა (წყალბადი ატომური წრინით 2) და ტრიტიუმის (წყალბადი ატომური წრინით 3) ტოლ რაოდენობათა ნარევში. ბუნებაში ტრიტიუმი უაღრესად ცოტაა. საჭირო რაოდენობის ტრიტიუმის დამზადება სასესხით შესაძლებელია ლითოუმის ნეიტრონებით დასხივების შედეგად, მაგრამ ეს ძირი კლება. მომავალში მთავარი მნიშვნელობა ექნება თერმობირთვულ რეაქტორებს, რომელიც სუფთა დეიტერიუმზე იმუშავებენ. ბუნებაში დეიტერიუმი სასესხით საკმარისია — ყოველ 6000 ჩვეულებრივი წყალბადის ბირთვზე მოდის ერთი დეიტერიუმის ბირთვი. ერთი ლიტრი ჩვეულებრივი წყალი ენერგიის მიხედვით დააბლოებით 400 ლიტრ ნავთობს უდრის. უბრალო გამოთვლები გვიჩვენებს, რომ დეიტერიუმი, როგორც საწვავი,

საკმარისი იქნება დედამიწაზე ასეული მილიონი წლის განმავლობაში ენერგეტიკის მკვეთრი განვითარების შემთხვევაშიც კი. თერმობირთვული რეაქტორების შექნით საწვავზე ზრუნვა პრაქტიკულად საჭირო აღარ იქნება.

უახლოესი 15 წლის მანძილზე ქვანახშირისა და ნავთობის ყოველწლიური მოპოვება ჩვენს ქვეყანაში დასხლოებით მილიარდ ტონას მიაღწევს. საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 400 ტონა დეიტერიუმი მთელი ამ ქვანახშირისა და ნავთობის შესაცვლელად. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ შეიძლება მოგვჩენებოდა, რომ ეს ოდენობა ძალიან ღილი და ძნელი მისაღწევია. მე მასივს, რომ მომდე ლენინგრადში ციკლოტრონზე სამუშაოდ ჩვენ ღილი გაჭირებით ვლებულობდით დეიტერიუმის გრაჟებს დნეპროპეტროვსკიდან, სადაც უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში მძიმე წყლის ლაბორატორიული გზით დამზადება წარმოებდა. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. ჩვენთან შექნილია დეიტერიუმის სამრეწველო წარმოება. იგი ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით. მათ შორის ალსანიშვირია ღრმა გაცივების მეთოდიც, რომლის დროსაც დეიტერიუმის მიღება მინუს 250°-ზე ხდება. ეს ცველაზე უფრო პროგრესული საშუალება დამუშავებულია სსრ კაშუირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტში.

წყლიდან დეიტერიუმის მიღებისათვის საჭირო ხარჯები მცირეა. დეიტერიუმის, როგორც საწვავის, ლიტებულება ქვანახშირის ლიტებულების ერთ პროცენტში ნაკლებს შეადგენს.

როგორი იქნება თერმობირთვული რეაქტორი? გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მაში შესაძლებელი უნდა იყოს დეიტერიუმის გაცემება 300-400 მლნ გრადუსამდე, ან დეიტერიუმისა და ტრიტიუმის ნარევის გაცემება 40-50 მლნ გრადუსამდე. მხოლოდ ასეთ დიდ ტემპერატურებზე იწარმოებს წყალბადის ბირთვების შეერთება ისეთი ინტენსივობით, რომ გამოყოფილი ენერგია მეტი იყოს დახარჯულზე (გამოსხივებასთან დაკავშირებული დანაკარგების გათვალისწინებით), რომელიც საჭიროა წყალბადის გასაცხელებლად. მხოლოდ ასეთი ტემპერატურის შემთხვევაში ქვაბს თერმობირთვული საწვავით შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ქვაბს, რომელიც მუშაობს ქვანახშირზე ან ნავთობზე.

განვიხილოთ პირობები, რომლებიც საჭიროა წყალბადის რამდენიმე მლნ გრადუსამდე გასაცხელებლად.

\* იბეჭდება სტატიის შემოცემებული თარგმანი, „პავედა“, № 59, 1958.

аінісіеðріл мэдгома рабочаში мүноз ჩვეულეðрів დეј-  
ტეріюშі օთаскоі ტეмპеðрატურыса და ნокімашлурі  
წїнівіс პіородебშі монолеðріл мондкаома სаатშі  
5000 კმ-ზე მეტი სіჩქარით. монгаатавсома ირი ისეთი  
მасалоисаагаң დამზადეðріл ჭურჭელში, რომელსაც უნა-  
რი აქს გаუძლოს უზარმაზარ ტემპეðрატურასა და წნე-  
ვას, და გავაცხელოთ იგი 100.000°-მდე. ასეთი ტემპეðрა-  
ტურის ღროს აіріс წნევა შეადგენს დაახლოებით 1.500  
ატმосფეროს, დეიტერიუმის ატმები დაიშლება დადე-  
ბითად დამუხტულ დეიტერიუმის ბირთვებად და ელექ-  
ტრონებად და, მაშასაღამე, აіріс სავსებით იონიზეðუ-  
ლი იქნება. ამგვარ მდგомა рабочаში мүноз ნივთიერებას  
ფიზіკосები პლაზმას უწოდებენ. დეიტერიუმის ბირთვე-  
ბი იმოძრავებს სიჩქარით, რომელიც ცოტათი ალემატება  
100.000 კმ/საათს, მაგრამ დეიტერიუმის ბირთვების მოძ-  
რაობის ენერგია ჯერ კიდევ არ იქნება საკმარისი ურთი-  
ერთვანზიდვის დასაძლევად. 100.000° ტემპეðрატურაზე  
ერთი ლიტრი დეიტერიუმის პლაზმაში ერთი ათასწლე-  
ულის განმავლობაში განხორციელდება მხოლოდ ორი  
ბირთვული გარდაქმა.

ახლა ტემპეðрატურა გავზარდოთ 100 მლნ გრადუ-  
სამდე. დეიტერიუმის ბირთვების სიჩქარე გახდება უზარ-  
მაზარი — დაახლოებით 1000 კმ/წ. წამის რაღაც ნაწილ-  
ში დეიტერიუმის ყველა ბირთვი შევა ერთმანეთთან  
რეაქციაში. ერთ ლიტრ პლაზმაში გამოიყოფა ფანტას-  
ტიური სიმძლავრე — 100 მლნ კვტ. ჩვენ ახლოს ვიქნე-  
ბით იმ პირობებთან, როდესაც შესაძლებელია თვითმა-  
რი თერმობირთვული რეაქცია დეიტერიუმში. პლაზმის  
წნევა იქნება 1,5 მლნ ატმოსფეროს ტოლი და სავსებით  
ცხადია, რომ ასეთ პირობებში ზედმეტია ფიქრი ისეთ  
თერმობირთვულ რეაქტორზე, რომელშიც ჩვეულებრი-  
ვი სიმკვრივის დეიტერიუმი გამოიყენება. თერმობირ-  
თვულ რეაქტორში აირი უნდა იყოს ძალიან მცირე წნე-  
ვის პირობებში. ნაწილაკთა რიცხვი მოცულობის ერთე-  
ულში არ უნდა ალემატებოდეს ისეთი აირის ნაწილაკთა  
რიცხვის რამდენიმე მეასიათასედ ნაწილს, რომელიც  
ჩვეულებრივ წნევასა და ტემპეðрატურაზეა. ასეთ პირო-  
ბებშიც კი უზარმაზარი ტემპეðрატურის გამო პლაზმის  
წნევა გაიზომება ათეული ატმოსფეროებით.

პირველი შეხედვით თერმობირთვული რეაქტორის  
შექმნის ამოცანა შეიძლება გადაუწყვეტებელი მოვეჩევე-  
ნოს, რადგან არ ასებობს ისეთი ცეცხლგამძლე მასალა,  
რომელსაც უნარი ექნება გაუძლოს მნიშვნელოვან მექა-  
ნიკურ დატვირთვას უკე 3000°-ის პირობებში. საქმე  
როულდება კიდევ იმით, რომ არ შეიძლება ცხელი  
პლაზმა შეეხოს კედლებს, რომელთა სწრაფი აორთქლე-  
ბა მაშინვე გააცივებს პლაზმას და რეაქცია შეწყდება.  
წყალბადის მილიონ გრადუსამდე გასაცხელებლად საჭი-  
როა შეიქმნას საიმედო თერმოზოლაცია, რომელიც  
არ მისცემს მას კედლებზე მიკარების საშუალებას.

ალსანიშნავია, რომ თვით პლაზმის — სავსებით  
იონიზეðული აირის — თვისებები საშუალებას იძლე-

ვა მოვძებნოთ აღნიშნული ურთულესი პრობლემების  
პრინციპული გადაწყვეტა. თერმოზოლაციის შექმნა შე-  
იძლება მაგნიტური ველის საშუალებით, თუ ვისარგებ-  
ლებთ იმით, რომ დამუხტულ ნაწილაკებს არ შეუძლია  
თვისეულებად მოძრაობა მაგნიტური ძალაზების განი-  
ვად.

თერმობირთვული რეაქტორის ძირითადი ნაწილი  
იქნება აბსოლუტურად ჰერმეტული კამერა, რომლიდა-  
ნაც რეაქციის დაწყებამდე უნდა ამოიტუმბოს ჰაერი;  
დარჩენილი ჰაერის დასაშვები წნევა არ უნდა აღემატე-  
ბოდეს ატმოსფეროს მეათმილიონედ ნაწილს. მაგნიტუ-  
რი ველის საშუალებით პლაზმა უნდა „ეკიდოს“ რეაქ-  
ტორის მოცულობის შიგნით და არ უნდა ეხებოდეს კედ-  
ლებს. ცხელი პლაზმის გაფართოებისაგან დასაცავად  
სრულებით არ არის საჭირო რაიმე კედლები. პლაზმა არ  
ფართოვდება მაგნიტური ველის გავლენით, ძალვა მისი  
საშუალებით გადაუცემა ხვიებს, რომელშიც მიეღინება  
რეაქტორში მაგნიტური ველის შემქმნელი დენი.

ასებობს თერმოზოლაციის სხვა საშუალებაც. თუ პლაზმაში გავატარებთ ძლიერ ელექტრულ დენს, მა-  
უნინ ამ დენის მაგნიტური ველი შეიძლება გამოვიყენოთ  
როგორც თერმოზოლაციის მთავარი საშუალება. ამისა-  
თვის კამერის კედლები უნდა გაკეთდეს სქელი გამტარი  
მასალისაგან. მაგნიტური ველი ყოველი მხრიდან გარს  
ერტყმის პლაზმას, რომელშიც გადის დენი. თუ დენი აღ-  
ძრულია იმპულსით, მაშინ მისი მაგნიტური ველი სწრა-  
ფად ვერ ვრცელდება ლითონში და ამიტომ პლაზმას  
კედლებთან შეხების საშუალება არ ეძლევა. მაგალი-  
თად, სპილენდის ზედაპირზე შექმნილი მაგნიტური ველი  
სულ ერთი წამის განმავლობაში შესამჩნევად მიაღწევს  
10 სმ სიღრმეს. ამიტომ ტექნიკურად შესაძლებელია  
ისეთი სქელედლიან კამერის შექმნა, რომ პლაზმაში  
გამავალი დენის მაგნიტურმა კელმა შექმნას თერმოზო-  
ლაცია დაახლოებით ერთ წამში. ამ შემთხვევაში გახუ-  
რებული პლაზმის წნევა კედლებს გააიცემა არა მოლე-  
კულათა დაგახებებით, არამედ პლაზმაში გამავალი დე-  
ნის მაგნიტური ველის საშუალებით.

ჩვენ შევეჩივეთ იმას, რომ ძალიან გახურებული  
სხეულები ძლიერად ანათებს და ბევრ სითბოს გამოა-  
ხვებს.

გაცხელებული წყალბათი რომ სინათლესა და სით-  
ბოს ისევე ინტენსიურად ასხივებდეს, როგორც მყარი  
სხეულები, მაშინ მილიონ გრადუსამდე მისი გახურების  
ღროს გამოსხივება უცცრად ორთქლად აქცევდა ნების-  
მიერ მასალას და ვერავითარი ტექნიკური საშუალება  
გაცივებისა ვერ დაიცავდა აორთქლებისაგან. სინამდვი-  
ლეში გაცხელებული წყალბათი გამჭვირვალეა და, რამ-  
დენადც იგი მყარ სხეულზე მეტად გამჭვირვალეა, მდ-  
დენად უფრო ნაკლებს ასხივებს მყარ სხეულზე. 1 მ ზო-  
მის რეაქტორის ცხელი ზონა 50 მლნ გრადუსზე და  
წყალბათი პლაზმის სიმჭიდროვის ღროს ისეთივე ინ-

ტენისივობით ასხივებს, როგორც იმავე ზომის მყარი სხეული 5000°-ზე. ეს მანც ენერგიის ძალიან დიდი ნაკადია და მის მოცილებაზე სერიოზული ზრუნვა მოუხდებათ თერმობირთვული რეაქტორის კონსტრუქტორებს. მაგრამ თვალისათვის ცხელი ზონა მხოლოდ სუსტად მნათი იქნება, რადგანაც ენერგიის ნაკადი ძირითადად შლტრაიისფერი და რენტგენის გამოსხივებისაგან შედგება.


ყოველ თერმობირთვულ რეაქტორში დაიხარჯება ენერგია სამუშაო რეაქტორის შესნარჩუნებლად. რეაქტორის ზომების გაღიდებასთან ერთად მასში გამოყოფილი ენერგია უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანაკარგები. დეიტერიუმისა და ტრიტიუმის ნარევზე მომუშავე რეაქ-

ტორის აქტიური ზონის უმცირესი ზომა ალბათ დახსლოებით ერთი მ იქნება. სუფთა დეიტერიუმზე მომუშავე რეაქტორის ზომა უფრო დიდი იქნება. სუფთა დეიტერიუმის თერმობირთვული რეაქტორები, ცხადია, გამოდგება მხოლოდ დიდი სიმძლავრის სტაციონარული ელექტროსადგურებისათვის. თერმობირთვული რეაქტორები გამოყენებას პივებს როგორც ორთქლის მისალები სითბოს წყარო, რომელიც ტურბინებსა და გენერატორებში მიმდინარე ჩვეულებრივი ციკლის საშუალებით მოვცემს ელექტროენერგიას. მაგრამ არსებობს ელექტროენერგიის მიღების პირდაპირი საშუალება, სადაც არ არის საჭირო მიმებართოთ დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე საშუალებო სითბურ ციკლს.

## სპორტული ავტომობილები


1957 წელს სპორტული ორგანიზაციების მიერ აგებულია ავტომობილების რამდენიმე ზიმუში წრიული რბოლისათვის.

მეორე ავტომობილია „ზევზდა-500“ (ნახ. 2). მისი აგებისათვის გამოყენებულია მოტოციკლეტის სხვადასხვა აგრეგატები, კერძოდ,



ნახ. 1

ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ავტომობილი  $\Gamma M-20$  (ნახ. 1), რომელიც აგებულია  $M-20$  ავტომობილის აგრეგატების ბაზაზე. ავტომობილს აქვს ძარა ღია ბორბლებით. მისი გაბარიტული ზომები შედარებით პატარაა: სიგრძე — 2500 მმ, სიგანე — 1610 მმ, სიმაღლე — 1200 მმ. ავტომობილის მშრალი წონაა 750 კგ, ამასთან უზრუნველყოფილია წონის თანაბარი განაწილება ღერძებზე: წინა ღერძზე მოდის 350 კგ, უკანაზე — 400 კგ. საბურავები სპეციალურია, სარბოლი 6,00—16 ზომის 4 კგ/კვ. სმ შიგაწნევით. მთავარი გადაცემის გადაცემათა რიცხვია 2,08. ძრავას მაქსიმალური ფრენის დროს ავტომობილის უდიდესი საანგარიშო სიჩქარე უდრის საათში 180 კმ/ს.



ნახ. 2

მასზე დადგმულია  $M-52C$  ძრავა, რომელიც ავითარებს 35 ცხ. ძალას წუთში 7000 ბრუნის დროს.

ღერძზე — 215 კგ. „ზევზდა-500“ ავტომობილის მაქსიმალური საანგარიშო სიჩქარე საათში 150 კმ/ს უდრის.

# კუნძული გამოყენების მოწყობის დოკუმენტი

დოც. ტ. ა. რსევარშვილი

საძირე ვაზებისა და ნერგების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია: საძირესა და სანამყენოს დაჭრა სტანდარტულ ზომამდე და მათი დახარისხება, მყნობა და ნაპყენის შეცვევა, სასუქების წინასწარი მობნევა ნაკვეთებზე, ნიადაგის გაფხვიერება და ზედაპირის გასწორება, საძირე ვაზის სადელეს, ნამყენი ვაზისა და საძირეს სანერგების მწყრივთაშორისებში ორგანული სასუქის მობნევა, ნიადაგის მოხვნა, პერიოდულად ღრმად გაფხვიერება და კულტივაცია, ნამყენი სანერგეს შეწამელა და მორწყვა, დაფესვიანებული საძირესა და ნამყენი ნერგების ამოთხრა და მუდმივ აღილზე დარგვა.

აღნიშნულ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის შეიძლება დავსახოთ მანქანა-იარაღების მთელი სისტემა, რომელიც შედგება ოცამდე მანქანისაგან.

ამ სისტემაში ძირითადად შედის სერიული გამოშვების მანქანები, აგრეთვე ზოგი საცდელი და ახალი მანქანა-იარაღები, რომლებიც უნდა შეიქმნას ახლო მომავალში.

აქ ჩვენ ვიძლევით მხოლოდ ზოგი მანქანა-იარაღის მოკლე აღწერასა და საექსპლოატაციო დახასიათებას\*.

1. „გუმ-60“ მარკის ვენახის უნივერსალურ მანქანას (ნახ. 1), გარდა ხვნის, კულტივაციის, ნიადაგის გაფხვიერებისა და ვაზის დამარხვა-გახსნისა, შეუძლია აგრეთვე ვაზის დაფესვიანებული საძირებისა და ნამყენი ნერგების ამოღება, რისთვისაც მას სპეციალური საცვლელი სამუშაო ორგანო აქვს.


ნერგების ამოსათხრელის სამუშაო ორგანო შედგება 2 გერტიკალური საკვეთელიანი დგარასა და ოპირიანი სიმეტრიული სახისისაგან. ამოსათხრელი მოწყობილობის ასეთი კონსტრუქციის მეშვეობით წარმოებს ბელტის საში მხრიდან მოჭრა, რითაც უზრუნველყოფილია ნერგის ამოთხრა 45-50 სმ სიღრმიდან.

ნერგის ამოთხრისათვის საჭირო ასეთივე საცვლელი მოწყობილობა აქვს „პუნ-1,7“ მარკის ვენახის გუთანსაც. ნერგის ამოთხრის ტექნოლოგიური პროცესი იგივეა, რაც „გუმ-60“-ით ამოთხრის დროს.

\* სხვა მანქანა-იარაღების აღწერა-დახასიათება იხილეთ ჩვენი ურნალის 1955 წლის № 9 და 1956 წლის № 3.


ვაზის ნერგის ორდგარიან ამოსათხრელ მოწყობილობას აქვს ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლის მის ფართოდ გამოყენებას წარმოებაში. საჭირო სიღრმეზე (40 სმ) მისი გატარების შემდეგ ნერგი თავისუფლად არ ამოღის ნიადაგიდან და აუცილებელი ხდება დამატებით ბარის გამოყენება ან მოწყობილობის მეორეჯერ გატარება, რაც საგრძნობლად ამცირებს მანქანის მწარმოებლობას. გარდა ამისა, ორდგარიანი მოწყობილობის მუშაობისას იქმნება დიდი წინაღობა და KД-35 მარკის ტრაქტორს უჭირს მისი დაძლევა პირველ გადაცემაზეც კათვით მოწყობილობის კონსტრუქცია რთულია. მას შეიძლება უფრო მარტივი გადაწყვეტა მიეცეს; ისე, რომ ტექნოლოგიური პროცესიც კარგად შეასრულოს და წევითი წინაღობაც ნაკლები ექნეს. ამ მიზნით, ნაცვლად ორი სპეციალური დგარასი შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ „გუმ-60“-ს ან „პუნ-1,7“-ს შუა, ღრმადგამაფხვიერებელი არსებული დგარა, რომელზეც ნაცვლად სატეხისა უნდა დავამაგროთ სპეციალური ორპირიანი სიმეტრიული სახისისა.

ასეთი ერთდგარიანი ვაზის ნერგის ამოსათხრელი 1934-1935 წელს გაცემული და გამოცდილ იქნა ფართო საწარმოო პირობებში და მან კარგი შედეგები მოგვცა. ნერგები ამოთხრილ იქნა 40-45 სმ სიღრმიდან. ბელტის თარაზულ სიბრტყეში მოჭრის სიგანე 42 სმ უდრიდა. მოწყობილობის გატარების შემდეგ ნერგები რჩება აღგილზე, საიდანაც მუშები ყოველგვარი დამატებითი იარაღების გამოყენების გარეშე აღვილად იღებენ მათ.



ნახ. 1. „გუმ-60“ ნერგების ამოსათხრელი

ასეთი სახნისების გაკეთება და მისი დაყენება „ვუმ-60“-სა ან „ბუნ-1,7“-ს შუა დგარებზე აღვილად შეიძლება ადგილზე, რომლის შედეგად მივიღებთ მარტივი კონ-



ნახ. 2. „იან-1“ მარკის ორმოსსათხრელი ცალკე ბურლით სტრუქციისა და უფრო სრულქმნილ ნერგის ამოსათხრელ მოწყობილობას.

2. „იან-1“ მარკის ორმოსსათხრელი (ნახ. 2) დანიშნულა ორმობის ამოსათხრელად, რისთვისაც მას აქვს სხვადასხვა დიამეტრის (60, 80 და 100 სმ) საცვლელი ბურლები.

ორმოსსათხრელი — „იან-1“ მოწყობილია ტრაქტორ „ბელარუსზე“ და მისი კონსტრუქცია დამუშავებულია ლიპეცკის მექანიკური ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ.

ორმოსსათხრელი შედგება რეზუქტორის, კარდანული გადაცემის, სამუშაო ორგანოსა და ტრაქტორზე დასაკიდებელი სისტემისაგან.


სამუშაო ორგანო — ბურლი — ორი ტიპისაა: ორფრთიანი და ხრახნული.

მანქანას შეუძლია ამოთხაროს სხვადასხვა დიამეტრის 70 სმ სიღრმეს ორმო (თითოეულის ამოთხრაზე იხარ-

ჯება 8,5 წამი). ორმოსსათხრელი, რომელიც შრომის ნაყოფიერებას ადიდებს 43-54-ჯერ, მარტივი კონსტრუქციისაა და გამოსაყენებლად აღვილია, მას ემსახურება მხოლოდ ერთი ტრაქტორისტი.

3. ჰიდრავლიკური ბურლები დანიშნულია ვაზის დასარგავი და სარების დასასობი ორმობის ამოსათხრელად, მათი მეშვეობით შეიძლება აგრეთვე ნიადაგის სიღრმეში ვაზის მორწყვა, ხსნარის სახით მინერალური სასუქისა და შხამქიმიკატების ღრმად შეტანა და სხვ.

ჰიდრობურლი (ნახ. 3), ორმულიც გამოგონებულია პროფ. ნ. დ. ხოლინისა და ინж. გ. ლ. შენდრიკოვის მიერ



ნახ. 4. ჰიდრომონიტორული ნაცმი: ა) ტანი; ბ) გამოსაწევი ლერა ქვედა სარქველით და გ) გამოსაწევი ლერო ორმაგი (ცონონიური) სარქველით


და ვაზის დარგვისათვის რეკონსტრუირებულია ი. ა. კაზასისა და სხვათა მიერ, ძალიან მარტივია.

იგი შედგება წყლის ერთდუიმიანი დიამეტრისა და 1 მ სიგრძის მქონე მიღლისაგან, რომლის ქვედა მხარეს მიხრახნილია იმავე დიამეტრის ჰიდრომონიტორული კონუსური ნაცმი.

მიღლის ზედა მხარეს ეხრახნება ონკანი სახელურებით, რომლებისთვისაც გამოყენებულია აგრეთვე წყლის მიღლი. ერთი სახელურის ბოლო დახშულია, ხოლო მეორე სახელურის ბოლოზე დახრახნილია საკეტი ონკანი. ამ უკანასკნელს უერთდება რეზინის შლანგი, რომლის საშუალებით ხდება წყლის მიწოდება ჰიდრობურლში.

ჰიდრობურლის გამოყენების სიადვილისათვის შეიძლება ვენტილის ნაცვლად დავაყენოთ რევოლვერული ტიპის ონკანი, ისეთი, როგორსაც იყენებენ ავტომობილების ავზებში ბენზინის ჩასასხმელად.

ჰიდრობურლის ძირითადი სამუშაო ორგანო ჰიდრომონიტორული ნაცმი (ნახ. 4). მას ბოლოზე აქვს გამოსაწევი სარქველი ლეროთი, რომლის ზედა მხარეს ეხრახ-



ნახ. 3. ვაზის სარგავი ჰიდრობურლები 1, 1,5 და 2 დუიმის დიამეტრისა

ნება ჯვარა კონტრაქტით. მათი საშუალებით განხორციელებულია სარქველის გაჩერება ნაცმის კონუსის ღეროში. ამითვე წარმოებს ჰიდრობურლის წყლის ჭავლის სიმძლავრის რეგულირება.

სარქველის დანიშნულებაა ჰიდრობურლის ნახვრეტის მიწით გაჭედვის თავიდან აცილება მასზე დაწოლის



ნახ. 5. „ონკ“ მარკის სატრაქტორო სასხურებელი ორი ჰიდრობურლით

დროს, აგრეთვე ბურლვის პროცესში სითხის მიწოდებისა და წნევის ავტომატურად შეცვლა.

ცდების შედეგად დადგენილია, რომ ვაზის დაცარგავი ორმოების გასაკეთებლად ღრმად მოხნულ და ნორმალურად დამჯდარ ნიადაგზე კარგ შედეგს იძლევა ერთდუიმიანი ჰიდრობურლი. ახლად მოხნულ ნიადაგზე კი უმჯობესია გამოიყენოთ 1,5 და 2-დუიმიანი ჰიდრობურლები.

მცენარის სილრმით მორწყვისა და თხევადი სასუქით გამოკვებისათვის გამოიყენება საშუალო ზომის ჰიდრობურლები, ხოლო თხევადი სასუქისა და შხამქიმიკატების ნიადაგში ღრმად შეტანისათვის — მცირე ზომის ჰიდრობურლები.

ვაზის დარგვის ჰიდრომექანიკური ხერხის არსი ისაა, რომ ვაზის ნერგების დარგვა წარმოებს ჰიდრობურლიდან წნევით გამოსული წყლის გადარეცხვითი მოქმედების შედეგად გაკეთებულ ორმოებში, რომლებიც ამავე დროს წყლით იულინთება.

ამ ხერხის დანერგვა ადგილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან, ერთი მხრივ, თვით ჰიდრობურლების დამზადება მისი სამარტივის გამო ადგილად შეიძლება მოეწყოს ადგილზე, მეორე მხრივ, ორმოსსათხრელი ან სარწყავი აგრეგატის შესაქმნელად გამოიყენება მეურნეობაში არსებული ისეთი ტექნიკა, როგორიცაა „ონკ“ (ნახ. 5), „ოლტ“ მარკისა და ცხენწევის სასხურებლები, აგრეთვე ავტოცისტერნა.

„ონკ“ და ცხენწევის სასხურებლებზე შეიძლება მოეწყოს ორ-ორი ცალი ჰიდრობურლი, ხოლო „ოლტ“ მარ-

კის სასხურებლებზე და ავტოცისტერნაზე — ოთხ-ოთხი ცალი.


4. ვაზის სამყნობი აგრეგატი (ნახ. 6) დანიშნულია საძირეს და სანამყენოს დაჭრა-დახარისხების, მყობისა და ნამყენის შეხვევისათვის.

ვაზის სამყნობი აგრეგატის მუშაობის პრინციპი და კონსტრუქცია დამუშავებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობა-მეცნიერებისა და მელვინეობის ინსტიტუტის მიერ (ავტორი-კონსტრუქტორი ამავე ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი გ. ბაბავა).

ვაზის სამყნობი აგრეგატი სამი ცალებული მანქანი-საგან შედეგია: ა) სამყნობი მასალის დასაჭრელ-დასახარისხებლის, ბ) სამყნობისა და გ) ნამყენის შესახვევი მანქანებისაგან.

ა) სამყნობი მასალის დასაჭრებული ასახარისებრების რომელიც მოთავსებულია აგრეგატის მაგიდის ქვედა მხარეს, შედეგა დანის, დასახარისხებლი ლარტყისა და გორგოლაჭიან ჯაჭვებზე დამაგრებული ჩანგლებისა და დამზოლი ზამბარებისაგან. მანქანა აწარმოებს საძირესა და სანამყენოს დაჭრას განსაზღვრულ სიგრძეზე და დახარისხებას დიამეტრის მიხედვით.

სანამყენო მასალის დაჭრა-დახარისხების პროცესი შემდეგნაირად სრულდება: მუშა დებს სანამყენო მასალას კვირტებით საყრდენ ღარში და მასალა იჭრება კვირტი-ღან განსაზღვრულ მანძილზე დანით, რომელიც უძრავად დამაგრებულია მბრუნავ ლილვაკზე. დაჭრილ სანამყენოს ან საძირეს იჭერს და გადაადგილებს დასახარისხებელი უძრავი ლარტყას გასწვრივ სპეციალური ჩანგლები, რომელებიც დამაგრებულია მოძრავ გორგოლაჭოვან ჯაჭვზე. ლარტყის ზემო მხრიდან გაკეთებულია ათი სხვადასხვაზომის ჭვრიტები; სამყნობი მასალის ლარტყას გასწვრივ გადაადგილების პროცესში, ზამბარას დალტობის ზეგავლენით, დასახარისხებელი მასალა გადის შესაბამისი ზო-




ნახ. 6. ვაზის სამყნობი აგრეგატი (საერთო ხედი)

მის (დიამეტრის) ჭვრიტეში, გარდება დაქანებულ ღარზე, საიდანაც ჩამოცოცდება სათანადო ზომის ფრაქციის ყუთში.

ბა.

ბენზინების ანტიდებონაციური თვისებების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახდა კუმშვის ხარისხის მიზნებთვანი ზრდა, რამაც უზრუნველყო საკუომიბილო ძრავების სიმძლველისა და ეკონომიური მახასიათებლების გაუმჯობესება. 1-ლ ნახ-ზე ნაჩვენებია ამერიკული და ინგლისური ავტომობილების ძრავების საშუალო კუმშვის ხარისხის სიღილეების ცვალებადობა 1946-დან 1956 წლამდე.

ნავთობის გადამუშავების ისეთი ახალი  
მეთოდების გამოყენება, როგორიცაა კატა-  
ლიზური კრეიინგი, კატალიზური რიფორმინ-  
გი და კატალიზური პლიმერიზაცია, უზ-  
რუნველყოფა ბეჭინის არა მატრი ანტა-  
დეტონაციური თვისებების, არამედ მისი  
სხვა მაჩვენებლებით გაუმჯობესებასაც.

საკუთრომიზილო ბენზინის შემდგომი გაუქ-  
ჭიობესება ხორციელდება ისეთი სხვადასხვა  
გამაჟეროილშინილებელი დანამატების ფარ-  
თო გამოყენებით, როგორიცაა ანტიდეტონა-  
ციური, დაუანგვის საწინააღმდეგო, ანტი-  
კოროზიული, ნამწვავესაწინააღმდეგო და ყა-  
ნულწარმოქმედის საწინააღმდეგო დანამატები.


ბენზინის, როგორც სამოტორო საწვავის, სარისხის ძირითადად ფასდება მისი ანტილე-



ნახ. 2. კუმშვის ხარისხის გავლენა ძრავას  
სიმძლავრეზე და ექონომიკურობაზე

რისა და ეკონომიკურობის მაჩვენებლებს  
40%-ით.

ამჟამად არსებობს კუმშვის ხარისხის  
7,5-დან 10 ერთეულამდე მომატების ტენ-  
დენცია, რასაც შეუძლია უზრუნველყოს სი-



ნამ. 3. კუმშვის ხარისხის გავლენა ბენზინის  
ნისათვის საჭირო ოქტანურ რიცხვზე

მძლავრის მომატება და საწვავის ხარჯის  
შემცირება **10 %**-მდე.

ମ୍ବ-୩ ନୁହ-୫ ନୁହିଗ୍ରେନ୍ଡା ଶେଖିନୀଲୋକାଳୀଙ୍କ ସା-  
କାରୀର ଏକାନ୍ତରୀଣ ରାଜ୍ୟରେ ଦାମଗ୍ରାମପଦ୍ଧତିରେ  
କୁରୁଶ୍ଵରର ନାମିକାରିତା ଉପରେ ଅନ୍ତରୀଳରେ  
ଏକାନ୍ତରୀଣ ରାଜ୍ୟରେ ଦାମଗ୍ରାମପଦ୍ଧତିରେ  
କୁରୁଶ୍ଵରର ନାମିକାରିତା ଉପରେ ଅନ୍ତରୀଳରେ

ମେ-୨ ଓ ମେ-୩ ବେ-ଘରୀସ ଉତ୍ତରିକେଇତଥେଲାର୍ଗବା  
ସାଶୁଳ୍ପବାସ ଘରାଳ୍ପେବୁ ଦ୍ୱାରାମ୍ଭାରିତ ଦ୍ୱାବଳି-  
ଗ୍ରହିତ ଶ୍ରୀରାଧାକୃତ୍ତବ୍ୟାନି ଦିନପୁଣ୍ଡବୁଲ୍ଲଙ୍ଗବା ଦର୍ଶା-  
ଯାବ ସମଦ୍ଵ୍ୟାରିଠିରେ ଦା ଏକାନ୍ତର ମୁଦ୍ରକ୍ଷେ ଶମ-  
ରିବ.

ඩේශණික පුද්ගලික හිමිවාසි තුරයා 1  
ප්‍රෙන්ත්‍රිත, පුහුම්පාසි තාක්ෂණික මධ්‍යමාත්‍රික තාක්  
ෂණී 1,5% -ට පැවත්වනු ලබයා සිම්ඩ්ලාගුරිකා සා සා  
යුගෝන්මියුරුන්දීම් මාත්‍රිකුවාදුවායි.


იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი საავტომობილო ძეგლინების აქტანურმა რიცხვმა გადააჭარბა იზოკეტანის აქტანურ რიცხვის, შეიტუშავებულია სპეციალური მეთოდიკა 100 ერთეულის ზემოთ აქტანური რიცხვის განსაზღვრისათვის.

\* \* \*

ა შერიკულ უსტრნალში „პოლულარ საინეს“  
მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ  
„ფორდის“ კომპანიამ თავისი მანქანების  
საკმაოდ სრულყოფილ ავტომატურ ტრანს-  
მისიაში მაინც შეიტანა ცვლილება იმის გა-  
მო, რომ 1957 წლის მოდელების მანქანებზე  
ტრანსმისიის მართვა დაკავშირებული იყო  
აქსელრატორთან და მყიდველები მანქანებს  
კარგად ურ მართვდნენ. მაგალითად, სამ-  
სიჩქარიანი კოლოფის შემთხვევაში მანქანის  
სწრაფი გაქანების მიზნით დაბალი გადაცე-  
მის ჩართვისათვის საჭირო იყო აქსელრა-  
ტორზე ბოლომდე დაწოლა.

1958 წლის მოდელის ავტომობილებზე  
ტრანსმისის შართვის ბერკეტის დაბალი გა-  
დაცემის ჩართვის გარდა აქვს კიდევ რის  
მდგომარეობა. როდესაც ბერკეტი 1-ლ  
მდგომარეობაშია, ავტომობილი ადგილიდან  
დაიძრება დაბალ გადაცემაზე, მიიღებს სა-  
თნადო გაქანებას და ავტომატურად გადაირ-  
თვება მეორე და შემდეგ მესამე გადაცემაზე.  
ბერკეტის მეორე მდგომარეობაში ავტომო-  
ბილი დაიძრება მეორე გადაცემაზე და გა-  
ქანების შემდეგ გადაცემა აიწევს მხოლოდ  
ერთი საფეხურით. ბერკეტის მეორე მდგო-  
მარეობაში ავტომობილის გაჩერების დროს  
გადაცემის მექანიზმში მყოფი ერთმხრივ-  
მოქმედი ქურო ჩაკეტავს მთელ მექანიზმს  
უფრო ძლიერად, ვიდრე მუსხუჭები; ასე,  
რომ ავტომობილი აღმართზე ან დამართვე-  
ლების დროს ავტომატურად მუხრუჭდა.

მყიდველთა სურვილით ფორდის კომპანია  
თავის მანქანებზე აყენებს პეტროვის და-  
კიდიბას.



# ჭარბი

## თბილისის მუნიციპალიტეტი

### შემცვლელები?..

### — დაიგიწევთ ეს სიტყვა!

შემცვლელები! უკანასკნელ წლებში ჩვენ ძალიან მივეჩვიერ ამ სიტყვას. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეიძლება გავიგონოთ: ტყავის შემცვლელი, მატყლის შემცვლელი, ლითონის შემცვლელი... და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ხშირად ხმარებული სიტყვების მნიშვნელობის გაგებას არ ვუფიქრდებით.

მაგრამ ღირს კი დასაფიქრებლად! ეს სიტყვები წარმოიშვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო განსაკუიფრებელი და შესანიშნავი მეცნიერების — ქიმიის მიღწევების წყალობით. აღნიშნული მეცნიერების განვითარებაში ახლა ისეთი ეტაპი დადგა, როდესაც შესაძლებელი გახდა არა მარტო იმ ნივთებისათვის, რომლებიც ბუნებაში არ გვხდება. სავსებით გასაგებია, რომ დასაწყისში ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური მასალები, ბუნებრივ მასალებს ჩამოუვარდებოდა. მათ მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლოთ ბუნებრივი მასალების მაგივრობის გაწევა. სწორედ მაშინ წარმოიშვა სიტყვა „შემცვლელი“.

პირველი სინთეზური საღებავები მხოლოდ გარეგნულად მოგვავრნებდა ბუნებრივ საღებავებს, ხოლო ხარისხი... ამაზე საკმაოდ მყაფიოდ მეტყველებდა მეტსახელი — „ლინიოჩა“ („სახუნებელი“), რითაც გამწარებულმა დიასახლისებმა მონათლეს ახალი პროდუქცია. პირველი ხელოვ-

ნური მატყლი იშლებოდა წყალში, ხოლო ხელოვნური ტყავი უფრო მძიმე და ცუდი ხარისხისა იყო, ვიდრე ბუნებრივი.

მაგრამ გადიოდა წლები, ქიმია სწრაფი ნაბიჯებით მიღიოდა წინ და დამოკიდებულება ხელოვნური მასალებისადმი, შეიძლება ითქვას, ჩვენს ოკალწინ იცვლებოდა. იგივე დიასახლისები, რომლებიც მცირე ხნის წინათ გულიანად ლანძღავდნენ პირველ „შემცვლელებს“, ახლა უარს ამბობენ აბრეშუმის ყელიან წინდებზე და მაღაზიებში მხოლოდ კაბრონს, სილონს ან პერლონს ითხოვენ. მსუბუქი, მოხერხებული და ლამაზი ფეხსაცმელი მიკროფოროგანი ძირებით ჩვენთვის უფრო ჩვეულებრივი გახდა. ხოლო სინთეზურმა კაუჩუქმა თითქმის მთლიანად გამოდევნა ნატურალური.

დღეს სინთეზური მასალები არა თუ ცვლის ბუნებრივს, არამედ აღემატება და აძევებს მას მოხმარებიდან.

მიუხედავად ამისა, მოძველებული და ამჟამად უკვე აზრმოკლებული სიტყვა „შემცვლელი“ ჯერ კიდევ შემორჩინებულია ჩვენს ენას.

რატომ?

ხომ არ ვუწოდებთ ჩვენ სწრაფ სამგზავრო მანქანებს და მძლავრ ორმოცტონიან თვითმცლელებს ცხენების „შემცვლელებს“! ვეჭვობთ, რომ ვინმეს მოუვიდეს თავში შეარქვას ელექტრონათურას კვარის „შემცვლელი“!

მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ჩვენ ვთვლით შტაპებს — მატყლის შემცვლელად, ხოლო ვორსიტს — ტყავის შემცვლელად. ეს სწორი არაა!

ახალი სინთეზური მასალები შემცვლელები როდია; ისინი არიან მასალები-მძღველები, მშვინიერი და ძვირფასი თვისებების მქონე მასალები, მომავლის მასალები!

ზოგ მათგანზე შევჩერდებით ჩვენ ქვემოთ.

ფოლადზე მაგარი,

მატელზე რბილი,

ჰერზე მსუბუქი

ბუნებამ ტანისამოსისათვის მხოლოდ ორი სახის ნედლეული დაგვიმზადა ჩვენ. მათგან ერთია — სხვადასხვა მცენარეების ბოჭკოები, ხოლო მეორეს იძლევიან ცხოველები და მწერები — ესაა მატყლი და აბრეშუმი, რომლებსაც ადამიანი საუკუნეების განმავლობაში იყენებს.

და მხოლოდ 70-80 წლის წინათ გაჩნდა ახალი ხელოვნური ტილო, პირველი აბრეშუმის ძაფი, რომელიც შექმნა არა აბრეშუმის ჭიამ, არამედ ადამიანის გენიამ და მოხერხებულმა ხელებმა. ყველაზე „უდეველესი“ სახის ხელოვნური ბოჭკო 50-ჯერ ახალგაზრდა ბუნებრივ აბრეშუმზე, მაგრამ მას აქვს მშვინიერი აწმყო და, უდავოდ, ექნება ბრწყინვალე მომავალი.

აბრეშუმის მრავალი ნაკეთობა, რომლებსაც ჩვენ დღეს ვატარებთ, — პერანგი, კაბა, ყელსახვევი, წინდები — „გაიზარდა“ ტყავი. ჯერ კიდევ ამას წინათ მითი ძაფები ფიჭვისა და


ნაძის ნაწილს წარმოადგენდა. გაიარა რა რა მრავალი გარდაქმნა, მერქნი იქცა ვისკოზურ ბოჭკოდ, რომლისგანაც ქარხანაში მოქარგულ იქნა კოხტა ქსოვილი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვისკოზური აბრეშუმისაგან ამზადებენ არა მარტო საზეიმო მოსართავებს. მან

ბიც ბამბის ბოჭკოსაგან გაკეთებულ კორდს შეიცავდა, ჩქარა გამოდიოდა წყობიდან.

ახლა ვისკოზურმა ბოჭკომ მთლიანდ გამოაძევა ხმარებიდან ბამბეულისაგან დამზადებული საბურავები.

მრავალრიცხოვანმა ცდებმა ცხადყო, რომ ახალი ბოჭკო თითქმის სრუ-



დიდი გამოყენება პოვა ტექნიკაშიც. აღბათ, ყველამ არ იცის, თუ რას ნიშნავს „კორდი“, მაგრამ ყველა მანქანის მძლოლს შეუძლია გაჩვენოთ ოქვენ ხვეული ძაფები, რომლებიც ჩაწერილია ავტომანქანების საბურავების რეზინში. სწორედ ესაა კორდი. მასზე მოდის ძირითადი დატვირთვა მოძრაობის დროს.

თუ ჩვენ ხელით შევეხებით იმ ავტომანქანის საბურავს, რომელიც ახლახან გაჩერდა, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ის საკმაოდ გახურებულია. როცა მანქანა დიდი სისწრაფით მოძრაობს, გზაზე ხახუნისაგან საბურავები ხურდება  $100\text{--}120^{\circ}$ -მდე. ასეთი ტეპერატურისას ბამბის ძაფები „იღლება“, მყიფდება და ადვილად ტეხადი ხდება. საბურავები, რომლების ბამბის ბოჭკომ მოძრაობის დროს გამოიწვევა და ამავე დროს ყოველ მათგანზე შეიძლება 300-დან 600 გრ-მდე რეზინის ეკონომიასაც მივაღწიოთ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შისი გარბენა 1,5-ჯერ იზრდება ბამბეულის კორდისაგან დამზადებულ საბურავებთან შედარებით.

ჩვენ ხშირად ვამზობთ, რომ აბრეშუბის ქსოვილები ძალიან მსუბუქია. მაგრამ ეს სიმსუბუქე შედარებითია. მაგალითად, ბუნება ვერ იძლევა ისეთ ბოჭკოს, რომლისგანაც შეიძლებოდეს ისეთი ქსოვილის დამზადება, რომელიც წყალში არ იძირებოდეს. ხელოვნურად დამზადე-

ბული ბოჭკო კი ასეთი ქსოვილის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

ვისკოზური აბრეშუმის წარმოქმნისას ქიმიური გზით მასში შეიძლება შეიქმნას მრავალი წვრილმანი არხი, რომლებიც გავსებული იქნება ჰაერით ან რომელიმე აირით. ეს არხები სრულებითაც არ აუარესებს ბოჭკოს თვისებებს — ის ძველებურად მოქნილი და მყარი იქნება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰაერის მიკროსკოპული ბუშტულები ანიჭებს მას განსაკუთრებულ სიმსუბუქეს.

ასეთი „ჰაერიანი“ ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილი წყალში არ ჩაიძირება; მისგან დამზადებული ტანისამოსი კი დაეხმარება მოცურავეს გაჩერდეს წყლის ზედაპირზე. ჰაერის ბუშტულები მიანიჭებს მას ფრიად კარგ თბოსაზოლაციო თვისებებს.

მაგრამ, ეს კიდევ ყველაფერი როდია. თუ ბოჭკოში ჰაერის ბუშტულების შეყვანა შეიძლება, მაშინ რა დაუშლის ჰაერის ბუშტულების ნაცვლად რომელიმე მსუბუქი აირის, მაგალითად, ჰელიუმის შეყვანა? ასეთი ქსოვილი არა მარტო წყალზე, არამედ ჰაერზე მსუბუქიც იქნება. ის, როგორც საბავშვო ჰაერის ბურთი, შეეცდება ხელიდან აგლეჯვას. რა თქმა უნდა, ასეთი ქსოვილისაგან ჰერანგისა და წინდების დამზადება არც ისე მოსახერხებელია, რადგან ისინი ყოველ წამს ეცდებიან პატრონისაგან „გაქცევას“. მაგრამ ბევრი ტექნიკური მიზნებისათვის — სფერო-ზონდებისათვის, აეროსტატებისათვის — ასეთ ზემსუბუქ ქსოვილს ძალიან დიდი ღირებულება ექნება!

ვისკოზურ აბრეშუმს ჰყავს შესანიშნავი ძმა — აცეტატური აბრეშუმი. ისიც ცელულოზისაგან მზადდება, მაგრამ არა მერქნის, არამედ ბამბის ცელულოზასაგან. გარეგნულად თითქმის შეუძლებელია გაარჩიოთ ის ბუნებრივისაგან, მაგრამ...

ქალიშვილებო! თუ თქვენ შემოგთავაზებენ საბანაო ტანსაცმელს, დამზადებულს ბუნებრივი და აცეტატური აბრეშუმისაგან, სანამ აირჩივ დეთ, დაფიქრდით; განსაკუთრებით,

თუ თქვენ გინდათ, რომ ტანს მზე კარგად მოეკიდოს. რამდენიც არ უნდა იწვეთ ჩატმულები ბუნებრივი მასალისაგან დამზადებულ ქსოვილში, მზეზე, თქვენ მზე ვერ მოგეკიდებათ, ხოლო აცეტატური აბრეშუმისაგან დამზადებულ ტანისამოსში ისევე მოგეკიდებათ მზე, როგორც უტანისამოსოდ!

აცეტატური აბრეშუმი ერთად-ერთი ბოჭკოა, რომელიც ულტრაიის-ფერ სხივებს ატარებს! ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ის სრულებით არ იჭმუჭნება დასველებისას და არ კარგავს სიმტკიცეს.

ეს მასალა ძვირფასია არა მარტო კოხტა კაბებისა და მზიანი პლაჟების მოყვარულთათვის. მას ახასიათებს მშვენიერი საიზოლაციო თვისებები და ამიტომ ეს მასალა ფართოდ გამოიყენება ელექტროტერნიკაში.

ქიმიკოსთა ბრწყინვალე მიღწევად უნდა ჩაითვალოს ზემტკიცე აცეტატური აბრეშუმის მიღება. სპეციალური დამუშავების შემდეგ, ჩვეულებრივი აცეტატური ბოჭკო ისეთ სიმყარეს იძენს, რომ თამავად შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს არა მარტო ბუნებრივ ბოჭკოს, არამედ სპილენძს, ალუმინს და ფოლადსაც კი.

როცა ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ რომელიმე საგნის „სითხელეს“, ჩვენ ვამბობთ: თხელია, როგორც ობობას ქსელი. მისი სისქე სამ-მეხუთედ მიკრონს უდრის — ე. ი. სამ-ხუთ მეათათასედ მილიმეტრს. ბუნებრივი აბრეშუმი 3-4-ჯერ უფრო სქელია, მისი დიამეტრი 15-20 მიკრონია. ვისკოზური და აცეტატური აბრეშუმი სისქით ბუნებრივს უახლოვდება; მაგრამ სამაგიეროდ მათი მონათესავე — სპილენძოვან-ამილკური აბრეშუმი, რომელიც ასევე ხელოვნურად მზადება ცელულოზასაგან, გაცილებით აღემატება „სითხელით“ ბუნებრივს და უტოლდება ობობას ქსელს. მისი „სითხელე“ 5 მიკრონს აღწევს! ამიაკური აბრეშუმისაგან დამზადებული ყელიანი წინდები და ქსოვილები იმდენად თხელია, რომ სრულებით გამჭვირვალე გეჩვენებათ.


## აბრეშუმი...

### ნახშირისა და კირისაგან

დღეს ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსც გაგონილი არ ჰქონდეს: კაპრონი, ბერლონი, სილონი, სტილონი, გრილონი, ანკალონი... სინამდვილეში ეს ერთი და იგივე მასალაა, რომელიც ქვანახშირისაგან მუშავდება.

კაპრონგანმა ბოჭკომ დამსახურებულად გაითქვა სახელი. ის 2,5-ჯერ უფრო მტკიცეა ბუნებრივ აბრეშუმთან შედარებით და 10-ჯერ უფრო მდგრადია გაცვეთისადმი ბაზეულ ქსოვილთან შედარებით. მისგან ამზადებენ უმსუბუქეს ქსოვილებს, მაქმანებს და მოხდენილ ხალიჩებს.

კაპრონის ყელიანი წინდები 5-ჯერ უფრო მტკბანს სძლებს, ხოლო კაბებს, კოფთებს, ქურქებს ჩრჩილის არ ეშინა. რეცვის შემდეგ მათი დაუთოება არაა საჭირო, ვინაიდან კაპრონი არ იჭმუჭნება.



მისგან ამზადებენ მეტისმეტად მტკიცე სათევზაო ბადეებს, რომლებიც გაშრობას არ მოითხოვს, და კორდებს ავტომანქანების საბურავებისათვის, რომლებიც ხარისხით არა მარტო ბამბეულისას, არამედ ვისკოზურსაც კი აღემატება. კაპრონის ბოჭკოსაგან ამზადებენ პარაშუტებს. ოპერაციის დროს ქირურგებიც კი

ახლა არა აბრეშუმის, არამედ კაპრონის ძაფებს ხმარობენ ნაკერის დასაღებად.

ამას წინათ კაპრონის საშიში მეტოქე გამოუჩნდა. სახელწოდება „ენანტი“ ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, მაგრამ მალე ის ისევე გაითქვამს სახელს, როგორც კაპრონი.

თეორი ენანტის ბოჭკო, რომელსაც მოყვითალო ელფერი დაპკრავს, ბევრად უკეთესია კაპრონზე, ხოლო მისი დამზადება კი უფრო მარტივია.

სულ მალე ენანტის ქსოვილები ისევე გაგრცელდება, როგორც კაპრონი და შტაპელი.

ახლა ქიმიკოსები ისეთი სრულიად ახალი მასალების შექმნაზე მუშაობენ, რომლებიც თავისი თვისებებით კაპრონსა და ენანტზე გაცილებით მაღლა იდგება.

### ოქროს საწმინი

თბილი, ნაზი, ლამაზი შალეული ოდიოგანვე გამოიყენებოდა. ძველი დროის ბერძნები იქროს საწმინისათვის მოემგზავრებოდნენ კოლხიდაში, სადაც მთელ მსოფლიოში განთქმულ თხელბეწვიან ცხვარს ზრდიდნენ.

დღეს იქროს საწმინისათვის შორს წასვლა როდია საჭირო; მას ქმნიან... რძისაგან, ნახშირისაგან, ნავთობისაგან, მერქნისაგან!

ხელოვნური მატყლი, რომელიც მერქნისაგან მიღება, ბევრად უკეთესია ბუნებრივზე. ის ისეთივე ნაზი, რბილი და თბილია, მაგრამ მისთვის, გარდა ამისა, დამახასიათებელია ლამაზი ბრწყინვა. ხელოვნური მატყლისაგან დამზადებულ შტაპელის ქსოვილს ახასიათებს როგორც ბუნებრივი მატყლის დადებითი თვისებები, ისე აბრეშუმის ქსოვილის სილმაზე. ისინი კარგად შთანთქავენ ტანის ანაორთქლს და მას სწრაფად გადასცემენ ჰაერს. ამის გამო ხელოვნური მატყლისაგან დამზადებული ტანისამოსი ყველაზე უფრო ჰიგიენურია.

შტაპელი ადვილად ირეცხება და რეცვის დროს არ კარგავს თავის სილამაზეს. ამ ქსოვილის ირგვლივ, ალ-

ბათ, არც ღირს დაწვრილებით ლაპარაკი, გინაიდან ყველა დარწმუნდა ამ მასალის ღირს უპირატესობაში.

აი, ლავსანი და ნიტრონი კი ჯერ კიდევ კარგად არაა ცნობილი. ისინი მიიღებიან ნახშირისაგან, ნავთობისაგან, კირისა და აზოტისაგან. ნიტრონისაგან დამზადებულ სვიტერებს, ხელთათმანებს, წინდებს სიმსუბუქით, სირბილითა და სითბოთი აქლემის მატყლისაგან ვერ განასხვავებთ. მისგან უკვე ამზადებენ განსაციფრებელ მსუბუქ თბილ საგრძებს, ქალის კოხტა ქურქებს და მოსასხამებს, რომლებიც სილამაზითა და ხარისხით ბევრად სჯობნის არა მარტო მატყლისაგან, არამედ ბეწვეულისა და ბუმბულისაგან დამზადებულსაც კი. მათ არ აშინებს არც ჩრჩილი, არც ობი. ნიტრონისაგან დამზადებულ ნაკეთობებს არ აშინებთ რეცხვა, რადგან რეცხვის შემდეგ ისინი არ კარგავენ თავის სიახლეს, არ ჯდებიან და არ იცვითებიან.

ახალი მასალების შესანიშნავი თვისებები მართლაც „ოქროს“ საწმისად ქმნის მათ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუმცა მათი ღირებულება გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე წმინდამატყლოვანის და ჩვეულებრივი მატყლისაც კი.

## სელოვნური ტეატრი

თუ ჰერითავთ 35-40 წელს გადაცილებულ ადამიანებს ხელოვნური ტყავის შესახებ, ისინი მოგიყვებიან არა ერთ სასაცილო და ამავე დროს სამწუხარო ისტორიას ქაღალდის შიდალანჩებზე, რომლებიც პირველი წვიმის შემდეგ იშლებოდა, ფეხსაცმლის ძირებზე, რომლებიც რამდენი-

მე საათის სიარულის შემდეგ იცვითებოდა, ფეხსაცმლის საქუსარებზე, რომლებიც თუნუქს უფრო მოგვაგონებდა და „მეტისმეტად მოხერხებული“ იყო.

ეს იყო 20-25 წლის წინათ...

დღეს კი... ჩაიცვით ახალი ფეხსაცმელი და თქვენ სიამოენებით იგრძნობთ, რომ მათში სიარული საკვირელად მსუბუქი გახდა. მიწასთან შეხებისა ფეხსაცმლის ძირი იდნავ ზამბარებს. ასეთი ფეხსაცმელი სულ ათიოდე წლის წინ გაჩნდა, და ყველას შეუყვარდა მათი ტარება. მიკროფონოვანი ფეხსაცმლის ძირები მხოლოდ მოხერხებული და ღამაზი კი არა ტყავისაზე, არამედ 2-3-ჯერ უფრო გამძლეცა.

მიკროფონოვანი ძირების მქონე ფეხსაცმელი გაცილებით უფრო მსუბუქია, ვიდრე ჩვეულებრივი. მიკროფონოვანი ძირების უკანასკნელი ტიპები ნ-ჯერ უფრო მსუბუქია ტყავის ძირებზე და მისი კუთრი წონა საცობს უახლოვდება. რა თქმა უნდა, ფეხი ასეთ ფეხსაცმელში გაცილებით ნაკლებად იღლება.

საგრძნობლად უფრო რთული აღმოჩნდა ისეთი მასალის შექმნა, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილყო ფეხსაცმლის ზემო ნაწილისათვის, რადგან მათ ღიდ მოთხოვნებს უყენებენ. ის კარგად უნდა უძლებდეს ტემპერატურის ცვალებადობას და არ უნდა ეშინოდეს ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სიცივისა; კარგად უნდა იტანდეს გაზაფხულის ტალახს და შემოღვომის წვიმას, არ უნდა კარგავდეს თავის სილამაზე; უნდა იყოს ელასტიკური, მაგრამ არ იწელებოდეს, რომ საწყისი მოყვანილობა არ დაეკარგოს; და ბოლოს, არ უნდა სკელდებოდეს და

ამავე დროს თავისუფლად უნდა ატარებდეს ჰაერსა და კანის ანაორთქლს, რომ ფეხს „სუნთქვა“ შეეძლოს. ასეთ მასალას მოეთხოვება დაბალი თბოგამტარობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხი გაიყინება სიცივეების დროს და გაოფლდება მზიან დარში.

მიუხედვად ამისა, ასეთი მასალა ამჟამად უკვე გამოშვებულია. მას ამზადებენ ხაოსიანი ქსოვილისაგან, რომელიც ლაპითაა გაყდენილი. აქედან წარმოიშვა სახელწოდება „ვორისიტი“ (ანუ ქართულად „ხაოსიტი“). ხაოები ლაპის ფენაში უწვრილეს არხებს ქმნის, რომელიც ჰაერი თავისუფლად გადის; წყალი კი მათში ვერ გაივლის. გარეგნულად ხაოსიტს ვერ გაარჩევთ ბუნებრივი ტყავისაგან, ღირს კი ის გაცილებით უფრო იაფი.

ხაოსიტს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ნატურალურ ტყავთან შედარებით: რომელი ადგილიც არ უნდა აიღოთ, მისი თვისებები ყოველთვის უცვლელი რჩება. ბუნებრივი ტყავი კი უფრო სქელია შუაში და თხელია ნაპირებზე, უფრო გამძლეა ერთ ადგილას, ვიდრე მეორე ადგილას.

საჯდომების გადასაკრავს ავტომობილებში, ქალების ჩანთებს, ჩემოდნებს, პორთფელებს, დგუშების შემაჭიდვრობლებს, ამძრავ ღვედებს, საზაფხულო ფეხსაცმელებს დღეს უკვე ხელოვნური ტყავისაგან ამზადებენ. სათანადო შეღებვით და ტვიფრვით მას ანიჭებენ ყველაზე იშვიათი და ძვირფასი ხარისხის თვისებებს, ასე, რომ თვით სპეციალისტებსაც კი უჭირთ განსხვავება ხელოვნურის ბუნებრივისაგან.

3. ნაუმოვი, ღ. იუგოვი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ბერნიქანი

## კორპუსი

# ერმიტაჟი

ასასტენტი ჩ. იაშვილი

მედიცინისა და ბიოლოგის განვითარებისათვის და-  
დი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ფიზიკის ისეთი  
დარგების მიღწევების გამოყენებას, როგორიცაა ავტო-  
მატიკა, ელექტრონიკა, ატომბირთვული ფიზიკა და სხვ.  
მათი დაზმარებით იქმნება რთული სამედიცინო აპარა-  
ტურა და ხელსაწყო-იარაღები, რომელიც ხელს უწყობს  
ქირურგის, განსაკუთრებით გულმკერდის ქირურგის,  
განვითარებას.

ახალი აპარატურისა და ხელსაწყოების დაპროექ-  
ტების ამოცანათა გადასაწყვეტად საბჭოთა კავშირში  
დაარსდა ქირურგიული აპარატურის და ხელსაწყოების  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის კოლექ-  
ტივმა გამოჩენილი ქირურგების უშუალო კონსულტა-  
ციით დიდი მუშაობა ჩატარა. მოკლე დროში შეიქმნა  
ბევრი უნიკალური აპარატი და ხელსაწყო, რომელთა გა-  
მოყენებით მცირდება ოპერაციის ჩატარების ხანგრძლი-  
ობა, უმჯობესდება მისი ხარისხი, მუშავდება სპეციალუ-  
რი მეთოდები და მცირდება ოპერაციის შემდეგ გართუ-  
ლებათა შემთხვევები.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს  
ისეთი სპეციალური აპარატები, როგორიცაა ე. წ. ხე-  
ლოვნური ორგანოები: ხელოვნური გული, ხელოვნური  
ფილტვები, ხელოვნური თირკმლები.


ხელოვნური გული კონსტრუირებულია მედიცინის  
მეცნიერებათა დოქტორის ს. ბრიუხონენკოს მიერ და სა-  
შუალებას იძლევა ვაწარმოთ ოპერაციები გულის  
ორუებში, მურალ-უსისხლო და გაჩერებულ გულზე,  
რომელიც ოპერაციის დროს გამოთიშულია სისხლის მა-  
მოქცევის წრიდან. შემდეგ გულის კუნთში შეკუვთ ლი-  
მონმჟავაპეტასიუმი ან აცეტილქოლინი და დაავადების  
ხასიათის მიხედვით ხსნიან წინაგულს ან პარკუს, აკე-  
ობენ გულის შიგნითა ოპერაციას, კერავენ ოპერაციულ  
ჭრილობას და კვლავ აახლებენ სისხლის ნორმალურ მა-  
მოქცევას. ამ აპარატს დიდი ხნის განმვლობაში შეუძ-  
ლია აწარმოოს სისხლის ხელოვნური მიმოქცევა, გამო-  
იყვანოს ავალმყოფი გულსისხლარღვოვანი სისტემის

ჩრდილოებისა და კლინიკური სიკვდილის მდგო-  
მარებიდან, შეუნარჩუნოს სიცოცხლე და სისხლის მი-  
მოქცევის უნარი ორგანოებს, რომლებიც გამიზნულია  
გადანერგვისათვის.

ხელოვნური გულის აპარატთან ერთად კონსტრუი-  
რებულია ხელოვნური ფილტვები, რომელშიც სისხლი  
მდიდრდება ჟანგბადით და სპეციალურ ფილტრში გავ-  
ლით ბუშტულებისა და კოლტებისაგან განთავისუფლე-  
ბის შემდეგ უბრუნდება ორგანიზმს.

ორგანიზმში აპარატის ჩართვისათვის იხსნება ვენა  
და არტერია, რომლებსაც უერთებენ სპეციალურ მი-  
ლებს — კატეტერებს. ამ უკანასკნელთა მეშვეობით სის-  
ხლი ვენიდან გადადის აპარატში, საღაც იგი მდიდრდება  
უანგბადით და არტერიით უბრუნდება ორგანიზმს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელოვნური თირკმლე-  
ბი. როგორც ცნობილია, თირკმლები ადამიანის ორგა-  
ნიზმში სისხლს წმენდს მავნე პროდუქტებისაგან, პირ-  
ველ რიგში შარდოვანასაგან, ზედმეტი მარილებისა,  
წყლისა და სხვა მინარევებისაგან და ამით სისხლს ორ-



ხელოვნური გულის აპარატი

განიზმისათვის სასარგებლო შემადგენლობას უნარჩუ-  
ებს. ერთი წუთის განმავლობაში თირკმლებში ერთ  
ლიტრამდე სისხლი გაივლის და, თუ ისინი არ იმუშავე-  
ბენ, ადამიანი 4-6 დღეში დაიღუპება. თირკმლები ცოც-  
ხალი ფილტრია და სწორედ ფილტრაციისა და ულტრა-  
ფილტრაციის პრინციპზეა აგებული ხელოვნური თირკ-  
მლების აპარატიც. მასში გამოყენებულია მიკროსკოპუ-  
ლი ორთქლიანი სპეციალური ნახევრადგამტარი აპარატი,  
რომელშიც ზოგი ნივთიერება გადის და ზოგი კი ვერა.  
ასევე ამ აპარატისათვის გამოიყენება ცელეფონი, რომე-  
ლიც გაწმენდილია გლიცერინისაგან და გამდიდრებულია  
წყლით.

ხელოვნურ თრანსონებს დიდი მომავალი აქვს. ფი-  
ზიოლოგიასა და ქირურგიაში მათი გამოყენებით ჩქარ-  
დება მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება.

გულისა და მსხვილი სისხლძარღვების დაავადებათა  
დიაგნოსტიკისა და ქირურგიული ჩარევის შესაძლებლო-  
ბის დასადგენად საბჭოთა კავშირში შექმნილია დანაღგა-  
რი, რომლითაც შეიძლება გულისა და მსხვილი სისხლის  
ძარღვების როგორც ზონდირება, ისე კონტრასტული  
გამოკვლევა. გარდა ამისა, ამ აპარატით გაიზომება გუ-  
ლის შიგნითა წნევა, გადაიღება ელექტროკარდიოგრამა,  
მიღება გულის იმპულსები, ლრუებიდან აიღება სისხლი  
და სხვ.


ფილტვებისა და ელენთის პათოლოგიური პროცე-  
სების დადგენის მიზნით საკონტრასტო რენტგენოგამოკ-  
ვლევათა შორის ჩვენში ფართოდ გამოიყენება ბრონქო-  
გრაფის და სპლენოპორტოგრაფიის წარმოება.

ბრონქოგრაფიის დროს ფილტვებში შეგვყავს იო-  
დოლიპოლი, რომელიც რენტგენოგრამაზე ამჟღავნებს  
ფილტვში არსებულ პათოლოგიურ პროცესებს (აბსცე-  
სებს, ბრონქოექსტაზებს, სიმსივნეებს, ტუბერკულოზს და  
სხვ.), რაც უმეტეს შემთხვევაში ჩვეულებრივ რენტგე-  
ნოგრამაზე არ ჩანს.

რაც შეეხება სპლენოპორტოგრაფიას, ეს კონტრას-  
ტული გამოკვლევის ისეთი მეთოდია, რომლის საშუალე-  
ბითაც ელენთაში შეყვანილი კონტრასტული ნივთიერე-  
ბით გამოვლინდება ელენთის და ღვიძლის ზოგი პათო-

ლოგიური პროცესი. გამოკვლევის ეს შეთოდები ფარ-  
თოდ გამოიყენება ექიმთა დახელვნების თბილისის სა-  
ხელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიის პირველ და მეორე  
კათედრაზე, რომლებსაც პროფესორები დ. მამამთავ-  
რიშვილი და ნ. ანთელავა ხელმძღვანელობენ.

ოპერაციების წარმოებისას შეიძლება ადგილი ექ-  
ნეს გართულებებს, რომლებსაც ზოგჯერ შეუძლია გამო-




დეფიბრილატორი და ელექტროთერმომეტრი

ტევიოს ადამიანის დალუპვაც კი. ზოგი ასეთი გართულე-  
ბის, მაგალითად გულის ფიბრილაციის, შემჩნევა შეუძ-  
ლებელია. ესაა გულის კუნთის თრთოლვა, მისი უწესრი-  
გო შეკუმშვა, რომელიც მისი საბოლოო გაჩერების მო-  
მასწავებელია. ტექნიკაზე ქირურგიას მისცა ისეთი აპარა-  
ტი, რომელიც ამ გართულებას გვიჩვენებს. ეს აპარატია  
ვექტოროლექტროკარდიოსკოპი. მისი მეშვეობით სპე-  
ციალისტი — ორაპევტი-კარდიოლოგი ოპერაციის  
დროს თვალყურს აღენებს გულის მუშაობას, რომელიც  
ტელეეკრანზე აღიბეჭდება ელექტროკარდიოგრამის ჩა-  
ნაწერის წესით. გულის ფიბრილაციის შემთხვევაში თე-  
რაპევტი აფრთხილებს ქირურგს საშიშროების სიახლო-  
ებზე და მაშინ ორგანიზმს უერთებენ მედიცინის მეცნი-  
ერებათა კანდიდატის ვ. მოლინიკის მიერ კონსტრუირე-  
ბულ აპარატს — დეფიბრილატორს. დეფიბრილატორის  
მოქმედებით გულის კუნთი იწყებს რითმულ კუმშვას,  
რითაც ისპობა გულის მთლიანად შეჩერების საშიშრო-  
ება.

გარდა ამ აპარატებისა, ქირურგი ოპერაციების დროს  
რენტგენის სუნთქვის, პულსისა და წნევის ცვლილებების  
ჩასაწერ აპარატს.

ქირურგის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა გაუმტკი-  
გარება, ე. ი. ოპერაციების უმტკივნეულოდ ჩატარება. ამ  
პრობლემის გადაწყვეტას ჩვენთან ემსახურება სპეცი-  
ალური ანესთეზიოლოგიის კათედრა, რომელსაც პროფ.  
გ. ხუნდაძე ხელმძღვანელობს. შექმნილია სპეციალური,  
უნივერსალური სანარკოზო აპარატი, რომლითაც წარ-  
მოებს გაუმტკივარება სხვადასხვა სანარკოზო ნივთიე-  
რებების კომბინაციით, მათი ზუსტი დოზირებით და სხვ.



ვექტოროკარდიოსკოპი

ამ აპარატით გადაჭრა აგრეთვე ფილტვის ქირურგიის ოპერაციული ტექნიკის მრავალი საკითხი.

გაუმტკივარების საკითხის გადაჭრაში დიდი როლი უსასრულა ე. წ. ელექტროძილის აპარატის შექმნაში, რომელმაც ქირურგიის გარდა დიდი გავრცელება პოვა ისეთ შინაგან და ნერვულ სნეულებათა მკურნალობაში, როგორიცაა კუპის წყლული, ჰიპერტონიული დაავადება, თავის ტკივილები, უძილობა, შიზოფრენია, ციკლოფრენია, ეპილეფსია, კონტუზის შემდგომი ფსიქონევროზები და სხვ.

ელექტროძილის აპარატით გაუმტკივარება მიიღწევა სანარკოზო ნივთიერებათა გამოყენების გარეშე და ამიტომ იგი არ იწვევს ისეთ ტოქსიკურ გართულებებს, რასაც იძლევა ეთერი და სხვა სანარკოზო ნივთიერებები. გარდა ამისა, მისი მოქმედებით ავადმყოფის ფსიქიკა მთლიანად ითიშება, რაც სასურველია ყოველი ოპერაციული მკურნალობის დროს.

გაუმტკივარების მეთოდების ერთ-ერთი შესანიშნავი მიღწევაა ჰიპოტერმია. ხელოვნური ჰიპოთერმია, ანუ სხეულის ტემპერატურის ხელოვნური დაქვეითება, წარმოადგენს ორგანიზმის ისეთ მდგომარეობას, როცა თბორეგულირებაზე მოქმედი ქიმიური პრეპარატებისა და ფიზიკური მეთოდების საშუალებით ავადმყოფის ტემპერატურა დაიწევს 28-26-მდე. ასეთ პირობებში ავადმყოფის ენერგია მინიმალურად იხარჯება, გულის კუნთის შეუმშევა იშვიათი და დუნე ხდება, სისხლის მიმოქცევის სიჩქარე მცირდება, არტერიული წნევა ეცემა, ცენტრალური ნერვული სისტემა გარეშე გაღიზინებისადმი ნაკლებად მგრძნობიარე ხდება და ორგანიზმის, განსაკუთრებით თავის ტვინის უჯრედების, მოთხოვნილება უანგბადისადმი მნიშვნელოვნად კლებულობს. ორგანიზმის ასეთ მდგომარეობის დროს ავადმყოფი უფრო ადვილად იტანს რთულ ოპერაციას, ხოლო ქირურგი კი უფრო იოლად აკეთებს მას.

ამ მხრივ აღსანიშნავია ექ. თ. ოთვაძის იდეით შექმნილი ჰიპოთერმიის აპარატი ტმტ № 1, რომელიც ორი-

გინალურია იმით, რომ ავადმყოფის ტემპერატურაზე დაკავშირდება საქვეითებლად, ნაცვლად ცივი აბაზანისა, საოცერაციო მაგიდაზე დაფენილი სკაფანდრა გამოიყენება (შექმნილი ასისტ. ნ. ლომთათიძის მიერ), სადაც საჭიროების მიხედვით მიეწოდება როგორც ცივი, ისე ცხელი წყალი.

ასეთივე აპარატი, მხოლოდ უფრო გაუმჯობესებული, შექმნილია ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ აკადემიკოს ჭ. ერისთავის ხელმძღვანელობით\*.

ტემპერატურის სწრაფი გაზირვისათვის შექმნილა მაღალი სიზუსტის ელექტროძილობებით, რომლითაც შესაძლებელია სხეულის თითქმის ყველა ნაწილში (კანი, ლორწოვანაზე, სწორ ნაწლავში და სხვ.) 10-15 წამის განმავლობაში გაიზომოს ტემპერატურა.


ქირურგიული ოპერაციების ტექნიკის განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ახალი ხელსაწყო-იარაღების დანერგამ. მათ შორის აღსანიშნავია ულტრაბგერითი დანები, რომლებითაც შესაძლებელია გაცვეთა სისხლის დენის გარეშე.

ცნობილია, რომ ქირურგიის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სხეულის ქსოვილების გაკერვა, რომლის ხარისხი აპირობებს ოპერაციის შედეგს. ქირურგიული აპარატურის და ხელსაწყოების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შექმნა „მექანიზებული“ წესით ნაკერების დასადები იარაღები. მაგალითად, სისხლის ძარღვების ავტომატურად საკერავი იარაღით წარმოებს 0,5-8 მმ დიამეტრის ცირკულარული ნაკერის დადება წამზე ნაკლებ ღრუში. ამ იარაღით დადებული ნაკერი ხსიათდება სიმკვრივით, სისხლის ძარღვების, განსაკუთრებით შიგნითა შრეების, მკვრივი შეერთებით და საკერავი მასალის — ტანტალის მაღალი ხარისხით, რომელიც ორგანიზმს არ ვნებს. გარდა ამისა, ამ ხელსაწყოთი მიღებული ნაკერი სისხლის ძარღვის კვეთს არ ავიწროებს, სისხლის ნაკადის გასვლა თავისუფალია, ნაკერის გარშემო ანთების ან თრომბის წარმოშობას ადგილი არ აქვს.

შექმნილია ხელსაწყო, რომლითაც ფილტვის ამოკვეთის შემთხვევაში ქირურგ შეუძლია ავტომატურად, სწრაფად და საიმედოდ ამოკეროს ბრონქი და სისხლ-ძარღვები. ღლემდე მხოლოდ მაღალგვალიფიციურ სპეციალისტს შეეძლო ამოკერა დარჩენილი ბრონქების ტაკვი ისე, რომ არ მიეღო ოპერაციის შემდგომი ბრონქიალური ფისტულა, რომელიც იწვევს ქრონიკულ ემპიგმას — პლევრის ღრუს ჩირქვოვან ანთებას. ახალი აპარატის საშუალებით ქირურგ შეუძლია მკვრივი და გამძლე ნაკერის დადება დარჩენილ ბრონქის ტაკვზე.

საკერავ იარაღთა შორის აღსანიშნავია იარაღი, რომლითაც ნაწლავზე ქისისებრი ნაკერის დადება 3-4-ჯერ სწრაფად ხდება, ვიდრე ხელით. ამ შემთხვე-

\* აღნიშნული აპარატის შესახებ იხ. ჩვენი უურნალის 1957 წლის № 10-ში გ. ოდიშვილისა და ო. ბურჯანაძის სტატია — „ორგანიზმას ხელოვნურად გასაცივებელი აპარატი“.



ბრონქზე ნაკერის დასადები აპარატი

ვაში ნაწლავის კედლის და მის ირგვლივ მდებარე ქსოვილების ტრაემა უმნიშვნელოა, ნაკერის დადება მოხერხებულია, ხარისხი მაღალია და ქირურგის მაღალ კვალიფიკაციას არ მოითხოვს.

ქირურგისა და სამეცნიერო პედაგოგიკის განვითარებაში ტელეგადაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით გადაცემული ოპერაციები კვალიფიკაციას უმაღლებს ტელეგადაცემის მაყურებელ სტუდენტებს


და ექიმებს, რომლებიც უკეთესად ამჩნევენ და ითვისებენ ოპერაციულ ტექნიკას, ვიდრე ზოგჯერ თვით საოპერაციოში ყოფნის დროს.

ტელეგადაცემამ ხელი შეუწყო აგრეთვე ასეპტიკის და ანტისეპტიკის დაცვას საოპერაციო ბლოკში.

ასებობს აპარატების და ხელსაწყო-იარაღების კიდევ მრავალი ჭგუფი, რომლებიც თანდათანობით ფეხს იყიდებს ქირურგიაში.

## მოძრაობის ჩემი განვითარების სისტემა მოსკოვი

უკანასკნელი წლების მანძილზე რეალიზებულია მთელი რიგი წინადაღებანი შექნიშნის სიგნალების მეშვეობით გზაჯვარედინებული მოძრაობის რეგულირების გაუმჯობესებისა და კერძოდ მარცხნივ მოხვევის უფლების შესახებ. ასე, მაგალითად, ლენინგრადში მარცხნივ მოხვევა გადაწყვეტილია ჩვეულებრივი სამსექციანი შექნიშნის ყვითელი და მწვანე სიგნალების ერთდროული ანთბით, ხოლო



ნახ. 1. შექნიშანი, აღჭურვილი დამტებით მოწყობილობით — ისრებით. ანთებული ისარი ურელსო ტრანსპორტის მოძრავ შემაღებულაბას ნებას ჩათვას მარცხნივ მოუხვოს შექნიშნის წითელი სიგნალის დროს


ვოქვანად ქვეითად მოსიარულებზე. მარცხნივ მოხვევა ორი მწვანე სიგნალის დროს ეცეტებს იძლევა მხოლოდ შექნიშნის კონტრულების კარგი ხილვადობის შემთხვევაში. სიბრუნვეში მდღლის, რომელიც ხედავს ერთ მწვანე სიგნალს და შეუმჩნეველი ჩემია მეოთხე სექცია, შეუძლია დაწყობის მარცხნივ მოხვევა შემთხვევა მოძრავი შემაღებულობის მდღლოთავის მოულონებული და ამით შექმნას ავარიული მდგომარეობა.

მწვავედ დგას საკითხი მარჯვნივ მოხვევის შეზღუდვის აუცილებლობის შესახებაც. მარჯვნივ მოხვევის წინა მიღებული სქემა, შექნიშნის ნებისმიერ სიგნალზე, სინამდვილეში ვერ უზრუნველყოფდა გზაჯვარედინების უსაფრთხო გადასახლას. თვით კუელაზე დისციპლინანი ქვეითი მწვანე სიგნალის დროს არ შეიძლებოდა გარანტირებული ყოფლიყო იმ ანტომბილიდის საფრთხისაგნი, რომელიც მარჯვნივ უხვევდა შექნიშნის წითელ სიგნალზე. ამიტომ საჭირო შეიქნა დამატებითი შეზღუდვების შეტანა ტრანსპორტის მოძრავი შემაღებულობასათვის: აკრძლოს მარჯვნივ მოხვევა სპეციალური ნიშნების დახმარებით, ან ნება მიეცეს მას მთლიან შექნიშნის მწვანე სიგნალის დროს. ეს მძღოლთათვის დამატებით სიძნელეებს ქმნიდა.

ამჟამად ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილია. მოსკოველები ქუჩებში უკვე ხედავნ ახალ შექნიშნებს დამატებითი მოწყობილობებით, რომლებიც ზუსტად იძლევა სიგნალს მარჯვნივ და მარცხნივ მოხვევის უფლების შესახებ. ეს ხელსაწყო (ნახ. 1) შედგება პატარა სექციური შექნიშნისაგან, რომელიც მარცხნივ მოსახვევისათვის მოთავსებულია ძირითადი შექნიშნის მარცხნივ მხარეს, ხოლო მარჯვნისათვის — მარჯვენა მხარეს. დამატებითმა შექნიშნმა მიღონ სახელწოდება „ისარი“, რადგან ჩართვისას მასზე ნათდება გამოსახულება ისრისა, რომელიც უჩვენებს ნებადართული მოხვევის მიმართულებას.

თუ შექნიშანი აღჭურვილია ასეთი დამტებითი მოწყობილობით, მაშინ ულიანდაგო ტრანსპორტის მოძრავ შემაღებულობას ნება

ეძლევა მზბრუნდეს მზოლოდ ისრის ანთებისას იმ მიმართულებით, სიითქვენაცაა მიმართული ისრის წვერი შექნიშნის ძირითადი სიგნალისაგან დამოუკიდებლად. ამ დამატებითი მოწყობილობის სიგნალი არ ექვება ტრამვას, რომელიც მოძრაობს შექნიშნის ძირითადი სიგნალის შესაბამისად.



ნახ. 2. შექნიშანი ქვეითად მოსიარულეთავის (ანთებულია მწვანე სინათლე „გადადით“)

გრძლეობულად იმ გზაჯვარედინებზე. სადაც ქვეითად მოსიარულეთა ძლიერი მოძრაობაა, გამოიყენება საცეციალური შექნიშანი ქეეითებისათვის (ნახ. 2). მას დგამენ ძირითად შექნიშანთან ერთად. სიგნალის ნაცვლად მას აქვს წარწერა „გადადით“ (მწვანე ფერისა) და „სდექ“ (წითელი ფერისა).

უახლოეს საწილი ძველი თხხესეციანი და სამსექციანი შექნიშნები შეიცვლება ახალი, უნიფიცირებული შექნიშნებით, რაც მოძრაობის რეგულირების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას გამოიწვევს.



# პარიზის საუკუნეო გამოფენაზე

გასული წლის დამლევს პარიზში გაიხსნა საავტომობილო გამოფენა.  
ვაქცეუნებთ საბჭოთა კავშირის ავტომობილური საბჭოს თავ-  
მჯდომარის ნ. ს. ს ტ რ ა ს თ ვ ი ს შთაბეჭილებებს, რომელიც მან მიიღო ამ გა-  
მოფენის დათვალიერების დროს.

საავტომობილო გამოფენაზე მო-  
ნაშილებას ღებულობდნენ ევრო-  
პისა და ამერიკის ფირმები, რომლე-  
ბიც ავტომობილებს უშვებენ და ავ-  
რევე დაკავშირებული არიან საავ-  
ტომობილო მრეწველობასთან. მას  
მკვეთრად გამოხატული კომერციუ-  
ლი ხასიათი ჰქონდა: ფირმები, რომ-  
ლებიც მეტოქეობას უწევენ ერთმა-  
ნეთს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ  
პროდუქციის გასაღების გადიდები-  
სათვის და ფართო რეკლამას უკე-  
თებდნენ „1958 წლის მოდელის“ ავ-  
ტომობილებს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნები-  
დან გამოფენაში მონაწილეობა მიი-

სათაურში: გამოფენის ერთ-ერთი  
დარბაზის ხედი

ღო ჩეხოსლოვაკიამ და გერმანიის  
დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

თუმცა სალონში გამოფენილ ყვე-  
ლა ავტომობილს რეკლამას უკეთებ-  
დნენ, როგორც ახალ ნიმუშებს, მავ-  
რამ ბევრი მათგანი საერთო შედგე-  
ნილობით ცოტათი თუ განსხვავდე-  
ბოდა 1957 და თვით 1956 წლებში  
გამოშვებული ავტომობილებისაგან.  
ზოგიერთი პროგრესია მიღწეული  
მართვის მოხერხებულობისა და  
მგზავრთათვის კომფორტის შექმნის  
დარგში. მსუბუქ ავტომობილებზე,  
როგორც წესი, გამარტივებულია  
მართვა, დადგმულია მოხერხებული  
საჭდომები, აქვთ ძარას კარგი ვენ-  
ტილურია და ჰაერის გათბობა, გაზრ-  
დილია ტვირთის ტევადობა. რიგ მან-  
ქანებს პლასტმასისაგან დამზადებუ-

ლი ძარები აქვს. ფირმები, რომლე-  
ბიც სატვირთო ავტომობილს უშვე-  
ბენ, ერთმანეთს ეტოქებიან ხილვა-  
ლობის გაუმჯობესებისა და მძლოლი-  
სათვის მუშაობის კარგი პირობების  
შექმნის დარგში.


გამოფენაზე წარმოდგენილი ავ-  
ტობუსები გამოიჩინება გარეგნული  
შესახედაობით, ლამაზი გაწყობით;  
მგზავრებისათვის საჭირო კომფორ-  
ტით ისინი არ ჩამორჩებიან პირველი  
კლასის სამგზავრო თვითმფრინა-  
ვებს.



საორტული ავტომობილი „სიტროე-2CB“  
პლასტმასის ძარათ

ამერიკული მსუბუქი ავტომობილის კონსტრუქციებში შეიმჩნევა წინანდელი უზარმაზარი ულაგარული ფორმებიდან, ბომბერებიდან და ა. შ. გადახვევა. ახალი ამერიკული მანქანების ფრთას ხმულობა გამოი-

ამ ავტომობილს აქვს რვაცილაძლირიანი V-მაგვარი ძრავა, რომელიც წუთში 4400 ბრუნის დროს აითარებს 275 კმ. მაღას, ავტომატური გადაბმულობა, გადაცემათა ავტომატური კოლოფი. საჭის სვეტის ორი-



მიუროლიტრაჟიანი ავტომობილი „ვესპა-400“

უზრება შედარებით ზომიერად და ამჟამად დიდად ჩამოგავს ევროპულ ავტომობილებს. ფრანგული და სხვა ფირმები, რომლებიც მცირელიტრაჟიან ავტომობილებს უშებენ, ცდილობენ რა, როგორც წესი, უცვლელად შეინარჩუნონ ლიტრაჟი და ძრავას გაბარიტები, ძარების ზომების გადიდების ტენდენციის ამჟამნებენ. ეს იმიტომ კეთდება, რომ მცირელიტრაჟიანი ავტომობილები გარეგნული შესახედაობით ნაკლებად განსხვავდებოდეს სხვა, უფრო ძირფასი მანქანებისაგან.


ზოგიერთ ღია ტურისტულ და სპორტულ ავტომობილებზე კვლევ გამოჩნდა მანქანიანი თველები, ე. წ. „ტანგეტური“, რომლებსაც 25-30 წლის წინათ აყენებდნენ თითქმის ყველა მსუბუქ მანქანაზე.

მსუბუქი ავტომობილების სალონის (გამოფენის პავილიონი გრანალასი ელისეის მინდვრებზე) დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში იყო ამერიკული ფარმის — „ოლდსმობილ“ მიერ გამოშვებული ორადგილიანი სპორტული ავტომობილი „ოქროს რაკეტი“, რომელიც შეღებილია ბრინჯაო-ოქროსფრად. ამ ექსპონატთან მუდამ ბევრი მნახველი იყო.

კის შეერთებულმა შტატებმა შეიძინეს ამ ავტომობილების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ქარხანა „რენს“ წარმომადგენლები ამას იმით ხსნიან, რომ ამერიკელები უფრო ხელსაყრელად თვლიან ამ ტიპის ავტომობილები შეიტანონ თავის ქვეყანაში, ერდოვან აღგილზე გამოუშვან იგი. მათი წარმოების სიიაფე საფრანგეთში გაპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, საავტომობილო ქარხნების მუშათა დაბალი ხელფასით, ვიდრე აშშ-ში.

საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და სხვა ფირმებმა გამოფენაზე წარმოადგინეს მიკროლიტრაჟიანი ავტომობილების დიდი რაოდენობა. მათ შორის დიდი ყურადღება მიიქცია ახალმა მიკროლიტრაჟიანმა ავტომობილმა — „ვესპა-400“. ავტომობილზე ორტაქტიანი ორცილინდრიანი ძრავაა დაღმული პაერის გავრილებით (ცილინდრების სამუშაო მოცულობა უდრის 0,393 ლ-ს). ავტომობილს აქვს საჯდომები ორი მოზრდილი მგზავრისათვის და ბავშვთა ორი აღგილი, რომელთა გამოყენება შეიძლება აგრეთვე ბარგისათვის. ბენზინის ხარჯი 100 კმ-ზე 4,5 ლ-ს შეაღენს, რაც საფრანგეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან უკანასკნელ ხანებში იქ ბენზინის ფასმა მნიშვნელოვნად აიწია.

მსუბუქი ავტომობილების სალონში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მსუბუქი მისაბმელები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მომასხურებას გაუწევს ტურისტებს მოგზაურობის დროს. ზოგიერთი მათგანი არსებითად პატარა, თვლებიან სააგრაკო სახლს წარმოადგენს. ასეთა



„ოქროს რაკეტი“ სტენდზე

სახლი-აგარაკები, რომელთაც მაქსი-  
მალურად შესაძლო მოხერხებულო-  
ბა და სხვადასხვა პოეტური სახელ-  
წოდებანი ჰქონდათ, გამოფენის  
მნახველთა განსაკუთრებულ ყურად-  
ღებას იმსახურებდა. მაგრამ მათი  
ფასი, ხშირად უფრო მაღალი, ვიდ-  
რე მცირელიტრაჟიანი ავტომობი-  
ლისა, მადას უკარგავდა ბევრ მყიდ-  
ველს.

სატვირთო და სხვადასხვა სპეცია-  
ლური ავტომობილები, გამწევები,  
ავტობუსები, მისაბმელები და ნა-  
ხევრადმისაბმელები წარმოდგენილი  
იყო გამოფენის დარბაზებისა და  
პორტ-ვერსალის პარკის პავილიონე-  
ბის დიდ ტერიტორიაზე.

სატვირთო ავტომობილების უმ-  
რავლესობას დიზელის ძრავა აქვს.  
ასეთი დიზელების მნიშვნელოვან  
რაოდენობას („მაგირუს-დეიტუ“, „პანარ“ და სხვა ფარმები) აქვს ჰაე-  
რით გაგრილება. ამავე დროს მრავა-  
ლი ფირმა, კერძოდ „ბერლიი“, „მე-  
რასედესბენც“, „ხენშელ“, „განო-  
მაგ“, განაგრძობს ძრავების კამოშ-  
ებას წყლით გაგრილების სისტე-  
მით.


ავტომობილების დიდ ნაწილში  
მკვეთრადაა გამოხატული ტეხდენ-  
ცია მათი ხვედრითი სიმძლავრის  
ამაღლებისაკენ. ოპოზიტური ტიპის  
ძრავებმა გავრცელება ვერ პოვა.  
ახალ ნიმუშებს შორის არის ძრავები  
პორიზონტალურად განლაგებული  
ცილინდრებით.

ავტობუსებში ძრავები ხშირად  
განლაგებულია ძარას ჭვემოთ, მარ-

ცხენა მხარეს, დაახლოებით შასის  
შუაზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო  
შედარებით მცირე რაოდენობის  
სატვირთო მანქანები ჩვეულებრივი  
ძარებით. სატვირთო მანქანების

(6×6) 600 ძალიანი დიზელით. მის-  
თვის აგებულია სპეციალური პავი-  
ლიონი, სადაც სხვადასხვა სხივური  
ეფექტების გამოყენებით რეკლამას  
უკეთებდნენ ამ ფირმის პროდუქცი-  
ას, მათ შორის 40 ტონიან და 60-



მცირელიტრაჟიანი თანამედროვე ავტომობილის ტიპიური შეთანწყობა  
(„პანარ-დინა“)

უდიდესი ნაწილი აღჭურვი-  
ლია სხვადასხვა სპეციალური მოუ-  
ზიბილობებით — ამწევებით, თვით-  
ძლიერი ძარებით, ასაკები აგრევა-  
ცებით და ა. შ. — ან აქვთ დამოკ-  
ლებული ბაზა საწევარის სახით გა-  
ნისაყენებლად.

გამოფენაზე შედარებით ცოტა  
იყო მისაბმელები, სამაგიეროდ ფარ-  
თოდ იყო წარმოდგენილი სულ სხვა-  
დასხვა მოწყობილობისა და დანიშ-  
ეულების ნახევრადმისაბმელები,  
რომელთა ტვირთმზიდაობა 0,5-დან  
40 ტონამდე აღწევს.

გამოფენაზე ყველაზე პოპულარუ-  
ლი ექსპონატი იყო ფირმა „ბერლიი-  
ეს“ მიერ გამოშვებული 100-ტონია-  
ნი სამლერდა ავტომობილი „სელის“


ტონიან სატვირთო მანქანებს.

100-ტონიანი ავტომობილი, პირ-  
ველ ყოვლისა, განცვიფრებას იწ-  
ვეს თავისი ზომებით: მისი სიმაღ-  
ლე კაბინის ზედა წერტილამდე 4,4  
მ-ია, სიგანე თვლების გარეთა წერ-  
ტილებს შორის კი — 4,4 მ. მარტო  
მანძილი მიწიდან ფრთხებამდე ორ მ-ს  
აჭარბებს. ძრავა 2,5 ტ-ს იწონის.

მართალია, შემოწმების დროს ალ-  
მოჩნდა, რომ ფირმის რეკლამა არ  
შეესაბამება სინამდვილეს — ავტო-  
მობილმა შეძლო 80 ტ-მდე წონის  
ნახევრადმისაბმელის ბუქსირება,  
ხოლო მის ბაქაზე შეიძლებოდა  
მხოლოდ 50 ტონის დატვირთვა.

გარდა ამისა ფირმამ — „ბერლიი“  
გამოფენაზე წარმოადგინა ნორმა-  
ლური და ამაღლებული გამავლობის  
ორ- და სამლერდა ავტომობილების  
სხვადასხვა ასორტიმენტი ჩვეულებ-  
რივი და დამოკლებული ბაზით. მათ  
შორის იყო სპეციალური ავტომობი-  
ლები — „საპარა“, რომლებიც გან-  
კუთვნილია ცხელ კლიმატურ პირო-  
ბებსა და უდაბნოებში სამუშაოდ,  
და აგრეთვე მათ ბაზებზე აგებული  
ავტობუსები.

ზოგად ფირმამ წარმოადგინა ორ-  
და სამლერდა სატვირთო ავტომობი-




„დოფინი“ რენო, 1958 წ. მოდელი

ლები ყველა წამყვანი ღერძით ( $4 \times 4$  და  $6 \times 6$ ).

ფირმამ — „პანარ“ გამოფენაზე აჩვენა 15 ტონა ტვირთმზიდაობის ოთხლერდა ჭავჭავიანი ავტომობილი. იგი აღჭურვილია დაახლოებით 200-

ციალური მოწყობილობებით, წარმოდგენილი იყო აქამდე ნაკლებად ცნობილი ფირმების მიერ. ასეთ ავტომობილებს გამოფენასა და პრესა-ში ხუმრობით „კოკტეილს“ ეძახდნენ: მათ აქვთ შესი ერთი ფირმიდან,



100-ტონიანი ავტომობილი „პარლიი“

ძალიანი თორმეტცილინდრიანი ძრავათი. ყველა ოთხივე ღერძი წამყვანია ( $8 \times 8$ ). პირველსა და მეოთხე ღერძზე დაღმულია ლითონის ბორბლები ნიაღაგშეკიდებით, რომლებსაც კარგ გზებზე ავტომობილის მოძრაობის დროს აწევა შეუძლია. ამის მეშვეობით მაგარ ფენილ გზებზე ჭავჭავიანი ავტომობილი საათში 60-90 კმ სიჩქარეს ავითარებს. მძიე საგზაო პირობებში კი ჩაირთვება ერთი ან ორივე შუა ღერძი და მანქანა ამაღლებულ გამავლობას იძენს.

ფირმა „პანარის“ წარმომადგენელი არავითარ განმარტებას არ იძლეოდა ამ მანქანის შესახებ, არ იყო პროსპექტებიც კი. მაგრამ იგი აჩვენებდა ფირმისაღმი გაგზავნილ აუზის სამხედრო სამინისტროს დეპეშას, რომელიც იუწყებოდა, რომ ავტომობილი, რომლის შესახებაცაა საუბარი, ცნობილია „საუკეთესო ჭავჭავიან ავტომობილად ამერიკის არმიისათვის“.

ავტომობილების მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით სპე-

ძრავა — მეორედან, სპეციალური მოწყობილობა ან ძარა — მესამედან და ა. შ. ასეთია, მაგალითად, თვითმცლელები „უნიკ“, „სავიუნ-ლის“ და „სამისონ“. ეს-ო-ერთმა ესპანურავა ფირმამ „სემრა“ მარკით წარმოადგინა სატვირთო ავტომობილი „შევროლე“, „ისპანო-სუიზას“ ახალი მოდელის ძრავათი.

ფირმამ — „ერ კონტროლ“ გამოყენაზე წარმოადგინა მის მიერ პატენტგაცემული ხელსაწყო შედარებით მარტივი კონსტრუქციისა საბურავებში წნევის გასაზომად. ხელსაწყოს მეშვეობით მძლოლს ყოველთვის შეუძლია კაბინიდან გამოუსვლელად შეამოწმოს ცალ-ცალკე თითოეული საბურავის წნევა მისაბმელსა და ნახევრადმისაბმელზე. ამასთან, თუ გამოირკვა, რომ აუცილე-




ბელია საბურავებში ჰაერის ჩამატება, ეს წარმოებს ჩვეულებრივი გზით, კომპრესორის მეშვეობით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მრავალი საგარაულ და სარემონტო მოწყობილობანი, რომლებსაც უშებეს სხვადასხვა ქვეყნის ფირმები. მაგრამ ამ ფირმების ძირითადი პროდუქცია გათვალისწინებულია მცირე გარაჟებისა და მომსახურე სადგურებისათვის.

სარეცხ, შესახეთ და გასაწყობ მოწყობილობათა და აგრეთვე საგარაულ კომპრესორების კონსტრუქციაში სიახლე არ შეიძლება. ფირმები უშვებენ ასეთ მოწყობილობათა დიდ რაოდენობას და მეორდება ცნობილი და გამართლებული კონსტრუქციები.

გამოფენაზე ნაჩვენები იყო ხელსაწყოთა და სტრენდების მრავალი ნაშუში ავტომობილის ცალკეული მექანიზმისა და ხელსაწყოს ტექნიკუ-



ჩოძრავი პიდრომექანიკური ამწე „უნიკი“

რი მდგომარეობის შემოწმებისა და რეგულირებისათვის.

წარმოდგენილი აპარატის მიხედვით შეიძლება დავინახოთ, რომ ექსპლოატაციის პრაქტიკაში დიდი ყურადღება ექცევა თვლების ბალანსირებას და მათ სწორ დაყენებას. თვლების დინამიკური ბალანსირებისათვის ნაჩვენები იყო სხვადასხვა ტიპის საკმაოდ პორტატული სტრენდები.

# ჰიდროელექტროსადგურის წყალმიმღებთა ახალი კონსტრუქციები

8. ჯიშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

6. კერძოები

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

წყალმიმღები ჰიდროელექტროსადგურის ერთ-ერთი მთავარი საკვანძო ნაგებობაა. მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს ტურბინების მუშაობისათვის საჭირო რაოდენობის სუფთა წყლის განუწყვეტელი მიწოდება. წყალი უნდა განთავისუფლდეს, გაიშმინდოს ნატანისა და მცურავი სხეულებისაგან.

ამიტომ წყალმიმღები მდინარის მიმართ ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ მან შეძლოს მდინარიდან მოხველდეს სუფთა წყლის მიღება. მაგრამ როგორ უნდა მოხველდეს ეს, როდესაც ნატანი მდინარეში წყალთან ერთად ამღვრეული მოედინება? ხომ არ შეიძლება ნაკადის გისოსში გატარება? ასეთ შემთხვევაში გისოსი ძალიან ჩქარა გაიჭიდებოდა და ნატანთან ერთად შემდეგ წყალსაც კი არ გაატარებდა.

ჩვეულებრივ წყალმიმღებებს აკეთებენ მდინარის ფსკერიდან რამდენადმე ამაღლებული ზღურბლის სახით, რომელშიც მოთავსებულია ე. წ. გამრეცხი გალერეები. ზღურბლის დანიშნულებაა შეაკაოს ფსკერული ნატანი და გალერეების სამუალებით გადაადგილოს ის ქვედა ბიეფში კაშხლის მეორე მხარეს, მდინარის ძველ კალაპოტში. ასეთი სახის წყალმიმღებები ხშირად ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, რადგან ზღურბლის წინა უბე მაღე ივსება ნატანით, რის შედეგად იწყება მისი ინტენსიური გადასვლა წყალმიმღებში. გამრეცხი გალერეების მუშაობა, ჯერ ერთი, ხშირად ნაკლებეფეტურია, ხოლო, მეორე, ითხოვს წყლის დიდ რაოდენობას. წყლის დახარჯვა, ისიც დიდი რაოდენობით, მაშინ, როდესაც იგი საჭიროა ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, არასასურველია.

მთავარი რაონების მდინარეებზე, რომლებიც დიდი ქანობებით ხასიათდება, გავრცელებას პოულობს ე. წ. ფსკერული წყალმიმღებები. თვით სახელწოდება — ფსკერული ასახავს ნაგებობის მუშაობის ძირითად პრინციპს. წყალი აქ მიიღება მდინარის ფსკერზე მოთავსებული გალერეით, რომელიც ფსკერული ნატანის საწინააღმდეგოდ გადახურულია გისოსით. ასეთი წყალმიმღები გამოიჩინა თავისებური კონსტრუქციული სიმარტივით, მაგრამ ამავე დროს მას ახასიათებს უარყოფითი მხარეებიც: გისოსი ხშირად იჭიდება, რითაც საგრძნობლად მცირდება და ზოგჯერ სრულიად წყდება წყლის მიწოდება დერივაციაში. ამის გამო ჰიდროტექნიკის ინტენსიურად მუშაობენ წყალმიმღებთა ახალი კონსტრუქციების შესაქმნელად. აღნიშნული მუშაობის

ძირითადი მიზანია სითხის მოძრაობის თვისებების აქტიური გამოყენებით ისეთი ტიპის წყალმიმღებების შექმნა, რომლებიც რაც შეიძლება ნაკლები წყლის დაკარგვით მიაწოდებს სადგურს სუფთა წყალს.

შემჩენეულია, რომ მდინარის მოხვეული უბნის გარეთა ნაპირი ჩამორეცხვას განიცდის, შიგნითა ნაპირთან კი ადგილი აქვს დალექვას. ეს იმით აიხსნება, რომ ნაკადს დინებისას ახასიათებს განივი ცირკულაცია, ე. ი. წყლის მასების მოძრაობის ლერძისაღმი მართობულ სიბრტყეში გადაადგილება. განივი ცირკულაცია ძლიერდება მოხვეულ უბანზე ცენტრიდანული ძალების წარმოქმნის გამო. ეს სითხის მოძრაობის ერთ-ერთი თვისებაა.

მეორე, როდესაც ნაკადი მოძრაობის დროს რაიმე სხეულს წააწყდება, გარსშემოედინება მას და წარმოქმნის განსაკუთრებული სახის დინებას ე. წ. ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის გრიგალების სახით. ეს გრიგალები შემოფარგლავს სხეულის ირგვლივ გარკვეულ ზონას, რომელშიც ნაკადის დინება და მასთან ერთად მოტივივე ნაწილაკების მოძრაობა წყდება. სხეულის მოხაზულობის მიხედვით აღნიშნულ ზონას შეიძლება სასურველი ფორმა მიეცეს.

მესამე თვისება მდინარის ზედა ფენები შედარებით სუფთაა, ქვედა კი ყოველთვის მდიდარია ნატანით. ამ უკანასკნელის ასეთი განაწილება ნაკადის სილრმეზე გამოწვეულია ტურბულენტური შერევით, რომელიც ძლიერია ფსკერთან და, მაშასადამე, იწვევს მყარი ნაწილაკების მეტ გადაადგილებას.

როგორ გამოიყენება სითხის მოძრაობის ზემოჩინოვლილი თვისებები წყალმიმღების მუშაობისათვის?


განვიხილოთ ჯერ ფსკერული წყალმიმღები.

6. დანელიას მიერ შემუშავებულ კონსტრუქციაში წყალმიმღები ხერეტების ნაწილი მოთავსებულია გრიგალებისაგან შემოფარგლულ ზონაში და ამიტომ გალერეაში ნატანის მოხვედრა შემცირებულია.

თ. გეგლიას და ო. კუხიანიძის წყალმიმღებებში მდინარის ქვედა, ნატანით მდიდარი ფენა ხედება სპეციალურ არხში და შემდეგ ჩაირეცხება ქვედა ბიეფში, ხოლო რამდენადმე გასუფთავებული წყლის ფენა კი — მიმღებ გალერეაში.

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლა-

ბორატორიაში შექმნილი ერთ-ერთი ფსკერული წყალმიმღები წარმოადგენს ფართო ზღურბლიან წყალსაშვის (ნახ. 1), რომელსეც სამი დაძირული ბურჯია მოთავსებული. ამ ბურჯების ფორმა ისეა შერჩეული, რომ მათი ნაკადით გარშემოვლების დროს ფსკერული ნატანი ბურჯებს შორის კონცენტრირებულ ვიწრო ზოლად მიღდინება. ფსკერული ნატანის ქვედა ბიეფში განუწყვე-



ნახ. 1

ტელი გადაგდება წარმატებით ხორციელდება გამრეცხი გალერეებით, რომელთა საწყისი ხერხტები ნატანის ზოლის შევიწროებულ ბოლოშია. გამრეცხი გალერეების აქტიურ მუშაობას ხელს უწყობს წნევათა სხვადასხვაობა, რომელიც გალერეების საწყის და გამოსასვლელ ხრეტებს შორის იქმნება. ამის გამო ნატანის გამრეცხი წყლის რაოდენობა უმნიშვნელოა.

წყლის მიღება წარმოებს რამდენიმე ხვრეტით. მათი ნატილი ზღურბლზეა, ნატილი კი — ბურჯზე. წყალმიმღები ხვრეტების ასეთი განაწილება ხელს უწყობს დერივაციისათვის წყლის მიღებას მდინარის როგორც ქვედა ნატანისაგან უკვე განთავისუფლებული ფენებიდან, ისე ზედა, შედარებით სუფთაა, ფენებიდანაც. გარდა ამისა, ხერხტების მუშაობა, მდინარის წყლის ხარჯის ცვალებადობის მიუხედავად, უზრუნველყოფს მისგან შუდმივად თანაბარი წყლის ხარჯის მიღებას; ამასთან საგრძნობლად ამცირებს გისოსების გაჭედვას ნატანით.


ცნობილია ღია წყალმიმღებების რამდენიმე გაუჭიობესებული კონსტრუქცია. მათ შორის აღსანიშნავია ვ. აიგაზიანის, ნ. დანელიას, ა. ტროიცკისა და სხვათა კონსტრუქციები. ღია წყალმიმღებების ახალი კონსტრუქციები ღამუშავდა აგრეთვე ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაშიც.

ერთ-ერთი მათგანი (ავტორი პროფ. ჯიმშელი) წარმოადგენს ნაგებობას (ნახ. 2) წყალმიმღები და ნატანის გამრეცხი კონსტრუქციების თავისებური გადაწყვეტით. ეს თავისებურება ისაა, რომ გამრეცხი გალერეები მოთავსებულია არა ჩვეულებრივად, წყალმიმღები ზღურ-

ბლის ქვეშ, არამედ გამოტანილია წინ, რითაც ხერხდება ფსკერული ნატანის გადაჭერა, ე. ი. მისი გადაგდება ქვედა ბიეფში წყალმიმღები ზღურბლის მიახლოებამდე. თვით წყალმიმღები ზღურბლი კი ჩვეულებრივისაგან განსხვავებით შედგება რამდენიმე მცირე სიგრძის ღარისაგნ, რომლებიც წყალს იღებს უშუალოდ ზედა ფენებიდან და თანაბრად ანაწილებს მას წყალმიმღების მთელ სიგრძეზე. ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს წყალმიმღების მუშაობისათვის, რადგან არათანაბარი შესვლა წყალმიმღებში იწვევს ე. წ. მკვდარი ზონების წარმოქმნას, წნევის ზედმეტ კარგვას და სხვა უასტყოფით მოვლენებს.

დასახელებული წყალმიმღებები, სათავე კვანძის მუშაობის გაუმჯობესების პარალელურად, იძლევა სავრცნობ ეკონომიურ უპირატესობას, რაც გამოწვეულია გამრეცხი გალერეების კონსტრუქციის გამარტივებით — ამწი მექანიზმების და სხვ. მოწყობილობათა გაუქმებით.

ასეთია იმ ორი ახალი წყალმიმღების მოკლე აღწერილობა, რომელთა კონსტრუქცია შემუშავებულია ინსტიტუტში. ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში ჩატარდა აგრეთვე წყალმიმღებების ჰიდრავლიკური გამოცდა. ამ მიზნით აგებულ იქნა აღნიშნულ წყალმიმღებთა მოდელები. მოდელირებულ იქნა აგრეთვე მდინარის უბანი, ჰიდროვლიკური ელემენტები — წყლის რაოდენობა, მისი ცვალებადობა, სიჩქარე, ნატანის სიმსხო, რაოდენობა და სხვ. ჩატარებულმა ცდებმა და აგრეთვე აღნიშნული წყალმიმღებების შედარებამ სხვა გავრცელებულ ტიპებთან დაგვანახა, რომ ისინი ხასიათდებიან მთელი რიგი დადებითი თვისებებით, რაც ხელს უწყობს ჰიდროტექნიკოსადგურების მუშაობის გაუმჯობესებას, აგრეთვე მშენებლობისა და ექსპლოატაციის მნიშვნელოვან გაიაფებას.



ნახ. 2

# ანტონიშვილი

Andrey Antonovich  
Antonov

8. ՀԱՅԱԽՈՇՎԻԼԻ

1920 წლის 16 იანვარს რუს მეზღვაურთა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თადეოზ ბელინგაუზენი და მიხეილ ლაზარევი, აღმოაჩინა ანტარქტიდა. ამის შემდეგ ბევრი მეცნიერი ეწვია ამ ახალ, მანამდე უცნობ კონტინენტს. ისინი შეუპოვრად უმკლავდებოდნენ ანტარქტიდის მკატრ კლიმატს; ატარებდნენ ლიდ-მნიშვნელოვან კვლევით მუშაობას.

მიუხედავად ამისა ანტარქტიდა ჯერ კიდევ არასავ-  
წაოდაა შესწავლილი, განსაკუთრებით კლიმატური  
თვალისაზრისით.

ახალი მატერიკის შესახებ დღემდე არსებული ცნობები მოწმობს, რომ ოდესაც აქ რბილი ჰავა ყოფილა. ამჟამად ანტარქტიდა ძლიერი „მაცივარია“, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს სამხრეთ ნახევარსფეროს ჰავაზე. ანტარქტიდაში მიმდინარე ატმოსფეროს ცირკულაციის მთავარ ნიშანს განსაზღვრავს მუდმივად მოქმედი ღრმა ციკლონების სერია, რომელიც კონტინენტის გარშემო — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს. უფრო სამხრეთით მატერიკის შიგნით, საღაც გამოფებულია მეტად დაბალი ტემპერატურა, მდებარეობს მაღალი წნევის არე (ანტიკიკლონი).

აეროლოგიურმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ ანტიციკლონის ოლქში (1500-2000 მ სიმაღლეზე) ჰაერის მასები ატმოსფეროს ქვედა ფენების მასების მიმართულების საწინააღმდეგოდ მოძრაობს. ამის გამო კონტრიენტის შიდა ნაწილებისაკენ ჩრდილო განედებიდან მუდმივად გადაიტანება ზღვიური წარმოშობის ჰაერის ტენიანი მასები. ამის საწინააღმდეგოდ კონტრიენტის შიდა ნაწილებიდან ნაპირებისაკენ მეტად ცივი ჰაერის მასები მიედინება. მოელ რიგ ადგილებში ხშირად ქრისტიანული ქარი (გრიგალი). გრიგალური მოქმედებით ანტარქტიდა პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში. მაგალითად, ადელის მიწის რაიონში წლის განმავლობაში 340 დღე გრიგალიანია. ანტარქტიდაში ქარის ოვიური საშუალო მინიმალური სიჩქარე 12,6 მ/წმ-ია, საშუალო ოვიური მაქსიმალური — 23,6 მ/წმ, საშუალო წლიური 19,2 მ/წმ; ზოგჯერ დღე-ღმეში ქარის საშუალო სიჩქარე აღწევს 36 მ/წმ-ს, ცალკეული ბიძგები კი 90 მ/წმ-მდეც ადის.

ძლიერი ქარის დროს შეინიშნება ელექტრული-მოფაქ  
ლენები, თოვლიანი გეიზერები და ანტარქტიდისათვის  
ტიპური თოვლის ქარბორბალა, რომელსაც თავისუფ-  
ლად შეუძლია აიტაცოს 150-200 კგ ტვირთი და რამდე-  
ნიმე ათეულ მეტრზე გადაისროლოს. ქარბორბალის და-  
ამეტრი 90 მ-მდე მეტყეობს, სიმაღლე კი ხშირად 120  
მ-ს აღწევს.


მაგრამ ანტარქტიდის კველა ნაწილში როდი მძინარებს ეს საშინელი გრიგალი. მოიხებნება ოდგილები, სადაც ქარის მაქსიმალური სიჩქარე 15 მ/წმ-ს არ აღემატება.

ხშირი ლრუბლიანობის გამო ანტარქტიდაში შემცირებულია მზის რაოდაცია. იმ სითბოს საერთო რაოდენობა, რომელსაც იღებს ანტარქტიდა, მეტად მცირება. ამის გამო ანტარქტიდის კლიმატი ჰერცის მეტად დაბალი ტემპერატურით გამოირჩევა.

მატერიკის სიღრმეში ჰაერის ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიღრე სანაპირო ზოლში. მაგალითად, გრეხე-მის მიწის რაიონში ( $65^{\circ}$  სიგანეცი) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $-4,3^{\circ}$ -ს, ხოლო ვეშაპის უფრო იდენტური რაიონში იგი  $-23,7^{\circ}$ -ს აღწევს.

უთბილეს თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მეტწილადგინდებში —  $10.4^{\circ}$ -ია.

ანტარქტიკის გარშემო ციკლონების მოქმედება იჭ-  
ვევს არა მარტო ქარების გაძლიერებას, არამედ მნიშვნე-  
ლოვან ნალექებსაც კონტინენტის სანაპირო ზოლში, და  
საპირებიდან მატერიკის შიდა ნაწილებისაკენ ნალექების  
თანდათანობით შემცირებას. ისე რომ, თუ ადელის მი-  
წის რაიონში ნალექების წლიური რაოდენობა უდრის



1600 მმ-ს, კონტინენტის შიდა ნაწილებში იგი 90—100 მმ-ს არ აღემატება. ნალექი მთელ კონტინენტზე ყოველთვის მყარი სახით მოდის.

ანტარქტიდის კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს და-სავლეთის ქარები, რომელიც მუდმივად ქრის სამხრეთ განედის  $40^{\circ}$ — $60^{\circ}$  შორის. ამ ქარებით სამხრეთ პოლარული ოლქის გარშემო შექმნილია „ქარის ბარიერი“, რომელიც დიდ სიმაღლეზე ვრცელდება და ხელს უშლის ჰა-რის მასების მერიდიანულ გავრცელებას მაღალ და და-ბალ განედებს შორის. ესაა მიზეზი იმისა, რომ ანტარქტიდაში ტროპიკული თბილი ჰა-რის მასები ვერ აღწევს.

ცირკულაციური პირობების და ფიზიკურ-გეოგრა-ფიული თავისებურებების მიხედვით ანტარქტიდა ორ კლიმატურ ზონად იყოფა: ესენია კონტინენტური, საღაც გაბატონებულია ანტიცილონური ამინდის ტიპი, და სანაპირო, რომელიც გამოიჩინა ციკლონების გავლენით.

სათანადო მასალების ანალიზით დადგენილია, რომ ანტარქტიდაში მიმღინარეობს დათბობა. 1911 წელთან შედარებით 1940 წელს ჰა-რის საშუალო ტემპერატურაში  $2,1^{\circ}$ -ით აიწია. ამაზე მეტყველებს ყინვარების თან-დათნობითი უკან დახევაც, რომელიც მთელ რიგ აღგი-ლებშია შემჩნეული.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამაში დადი ადგილი აქვს დათმობილი ანტარქტიდის კლიმა-

ტურ შესწავლას: სხვა სახელმწიფოების ექსპედიციებით თან ერთად საბჭოთა ექსპედიცია ატარებს მეტეოროლო-გიურ და აეროლოგიურ დაკვირვებას, რითაც შეივსება ის მასალა, რომელიც დღეისათვის მოგვეპოვება ანტარ-ქტიდის კლიმატისა და არქტიკაში მიმღინარე ზოგადი ცირკულაციური პირობების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუ-მის დავალებით საბჭოთა ექსპედიცია სწავლობს არქტი-კაში მიმღინარე ატმოსფერული პროცესების გავლენას დედამიწის ზოგად ცირკულაციაზე, ბარულ ველს, სინო-პტიკურ პროცესებს და ანტარქტიკის თავისუფალ ატ-მოსფეროში მეტეოროლოგიური ელემენტების განაწი-ლების კანონებს.

ანტარქტიკაში მიმღინარე ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციური პირობების საფუძვლიანი შესწავლა სა-შუალებას მისცემს მეცნიერებს დაზუსტონ მისი გავ-ლენა სამხრეთ ნახევარსფეროში მიმღინარე ატმოსფე-როს ზოგად ცირკულაციაზე. ეს კი თავის მხრივ შესაქ-ლებელს გახდის დაზუსტდეს გრძელვადიანი პროგნოზე-ბის მეთოდით.

შორის არა ის ღრო, როდესაც ფარდა აეხდება სა-იდუმლოებით მოცულ ანტარქტიდის ისტორიას და მისი მეცნიერული კომპლექსური გამოვლენებით ახალი ფურცელი ჩაიწერება გეოგრაფიის ისტორიაში.

## ბელორუსული ტრაქტორები

მინსკის სატრაქტორო ქარხანაში დაიწყო ტრაქტორ „ბელარუს“ MTZ-5M-ის ახალი მოდელის წარმოებისათვის მზადება. იგი აღ-ჭურვილია ჰიდრაულიკური სისტემით საკიდი და ნახევრადსაკიდი სასოფლო-სამუშაოების იარაღების მართვისათვის.

ტრაქტორის ყველაზე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას გადაცემათა ახალი კოლოფი წარმოადგენს. იგი საშუალებას იძლევა განვითარებულ იქნება სიჩქარეები 1,3-დან 22 კმ-ზე საათში. ამრიგად, მანქანის სიმძლავრე შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ნებისმიერ პირობებში, დაწყებული ჩითოლასარ-გავი სამუშაოებით და დამთავრებული მისაბმელების ტრანსპორტირებით. წინა დერძთან საგზაო ჭერიტეს გადიდება, ასმდენადმე და-დი ზომების საბურავები დამატებით შესაძლებლობას ქმნის ტრაქტორის გამოყენებისათვის მაღალღერობინი კულტურებით დათესილ მინდვრებზე. გაუმჯობესებულია აგრეოფე ცალკეული კვანძებისა და მექანიზმების კონსტრუქცია, რამაც მანქანა უფრო საიმედო გახადა ექსპლოატაციის ღროს. ტრაქ-

ტორის წონა შემცირებულია ნახევარი ტონით.

საკედესის კორესპონდენტთან საუბრის ღროს მინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ა. ტარასოვმა განაცხადა:

ტრაქტორი „ბელარუს“ MTZ-5M მხოლოდ პირველი ეტაპია ბელორუსის სატრაქტორო შეებლობის პერსპექტიული გეგმის განხორციელებაში. ჩვენი კოლექტივის მიერ შექმნა-ლია აგრეთვე მაღალი გამავლობის მანქანა — „ბელარუს“ MTZ-7. მას არა მარტო უკანა, არამედ წინა წამყვანი თვალი აქვს. ასეთი კონსტრუქცია ტრაქტორს დაუფასებელს ხდის ქვიშიან და ჭაობაზან ადგილებში სამუშაოდ, აჩქარებს გაზაფხულობით ველზე გასვლის შესაძლებლობას, როცა ნიადაგი საკმარისად არა მშრალი ჩვეულებრივი თვლიანი ტრაქტორებისათვის სამუშაოდ. ასეთი მანქანების მასობრივი წარმოება დაიწყება მომავალი წლიდიდან

ქარხნის საქართველომენტო სამქროში ამე-ბაზ მთავრდება ახალი ტრაქტორის საცდელი


ნიმუშის აწყობა, რომელიც თავისი მონაცემების მიხედვით იქნება არა სათოხნი ტრაქტორი, არამედ უნივერსალური. ესაა „ბელარუს“ MTZ-50. მისი ძრავას სიმძლავრე 52 ცხრის ძალას აღწევს. გაფართობულა სიჩქარეთა დიაპაზონი — ერთიან 27 კმ-ზე საათში. სკეციალური მოწყობილობა ნებისმიერი გადა-ცემის ღროს საშუალებას იძლევა გავზარდოთ ტრაქტორის წევის ძალა სიჩქარის შემცირე-ბის ხარჯზე და აგრეთვე მოვალეობით ძრავას ბრუნთა რიცხვის რეგულირება. ეს სიახლე, რომელიც ჩევწმი პირველად გამოიყენდა, ხელს უწყობს ტრაქტორის სიმძლავრის ეფექ-ტურ გამოყენებას მუშაობის პირობებთან და-მოიდებულებით. ამძრავი ბორბალი, საგა-ბით დამოუკიდებელი ძალართმევი ლილვი და სპეციალური გასასვლელი გადაცემათა კოლოფითან საშუალებას იძლევა ტრაქტორი გამოყენებულ იქნეს სტაციონარული ძრავას სახით.

ასეთივე მანქანა (მოდელი MTZ-52) გა-მოშევანდული იქნება არა მშრალი ზამართვის მიზანით.

# ო უ კ ა ს უ ფ უ რ მ ბ ა ნ ი

## პეპინის „მეცე—ზარი“

ქალაქ პეპინის დასავლეთ გარეუბანში დაჯუნისის მონასტერში კიდია ბრინჯაოს უზარმაზარი ზარი. მისი წონა 42 ტონაა, სიმაღლე — 7 მეტრი, დიამეტრი — 3,67 მეტრი. ზარის გარეთია და შეგნითა ზედაპირზე დიდი ხელოვნებითაა ამოკეული 220 ათასზე მეტი იეროგლიფი. იეროგლიფები კარგადაა შენახული.



ეს დიდი ზარი დამზადებულ იქნა იუნლე მინის დინასტიის მმართველობის ერთი დასაწყისში (XV საუკუნის დასაწყისი). მიუხედავად ასეთი დიდი დროის გასვლისა ზარს არც კორონისის ნაკვალევი და არც ნაბზარები ემჩნევა.

ძველ დროში ასეთი უზარმაზარი ზარი მიტანა ქალაქიდან მონასტერში დიდ სიძნე-დეებთან იყო დაკავშირებული: ამისათვის ზამთარში გზაზე ასხამდნენ წყალს და, როდესაც იგი გაყიყნებოდა, მიათრევდნენ მაზზე. ამ ზარის დადგიმისაფის სპეციალურად გაკეთებულ იქნა ბორცვი, რომლის ფერდზეც აგრეთვე ასხამდნენ წყალს.

## მფრინავი მელიები

მფრინავი მელიები, ანუ ბალულები, ინდო-ერთში ცხოვრობენ; ისინი ნადირობენ არა ფრინველებზე, არამედ ხილით იკეტებიან. ათასობით თავს ესხმიან რა ბალებს და პლანტაციებს, მფრინავი მელიები ერთი ღამის გან-

მავლობაში ანიდგურებენ ბანანის ან ქიქოსის ხეების მთელ ჭალას. ღლისით მფრინავ მელიებს კაპზე თავდალმა დაკიდებული ძინავთ რომელიმე უზარმაზარ ტრობიკულ ხეზე.

ეს სიანტერესო ცხოველები ღამურების ახლო ნათესავებია, მაგრამ მათთან შედარებით გაცილებით დიდრონი არიან. ზოგი ბალული ფრთხებგამოილი ერთნახევარი მეტრი სიღილასაა. აქვთ ძაღლის თავები, უკანა ფეხებზე გრძელი ბრტყალები უზრდებათ, ხოლო წინებზე გადაკრულია ფართო საფრენი აპე. ბალულები ძალიან სწრაფად ფრინვენ, აწყობენ შორს ფრენას და სპონენ ბალებსა და ვენახებს.

მფრინავი მელიები დიდ ოჯახებად ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა ისინი ცუდი ამხანგები არიან: არ ინდობენ და სულ მუდამ ღრმილი ერთმანეთს საჭმლისა და ხის ქვეშ ჩრდილის გამო. ასეთ დროს ისინი აუზერელ ხმაურს ტეხნ. მათ წრიანია ხმა აქვთ, ზოგჯერ ბატივით სისინებენ.

ინდოეთში მფრინავ მელიებს ხეზზე გაბმული ბალით იჭერენ ან კეტებითა და ქვებით ხოცავენ და მათ ხორცს საჭმელად იყენებენ.

## უცნაური თევზები


ბუნებაში 30 ათასამდე სახის თევზია და არც ერთი მათგანი არ ჰგავს ერთმანეთს. ზოგი თევზი ჩხირივთ ხმელია, ზოგი კი ისე მსუქნი და ცისმიანი, რომ ასანთის ალს მოახლოვებისთანავე ცეცხლი ედება. ინდოეთში, მაგალითად, ცნობილა თევზი, რომელსაც საცხოვრებელი ზინებს გასანათებლად იყენებენ.

მსოფლიოს სხვადასხვა წყლებში გვხვდება მფრინავი თევზები, ხეზე მცოცავი და მოსიარულე თევზები, თევზი-მსროლებები და ელექტრული თევზები.

აფრიკის მდინარეებში, სადაც წყალი კურივივთ შავია, ცხოვრობს გრძელი და წერილ-თავიანი თევზი, რომელსაც სპოლოს ხორთუ-

მევით წინ გადმოშვერილი ცხვირი უაქვის მისამართ შეიძლება.

ამ უცნაური თევზის თავისებურება ისაა, რომ მას შეუძლია შორიდანვე შეიგრძნოს საგანი, „დაინახოს“ იგი გაუმშვირვალე ზღუდების მიღმა... კულათ. კულზე მას აქვთ მცრავი ელექტრული ორგანო, რომლის ძაპა სულ 6 ვოლტის ტოლია. ეს პაწაწინა გადამცემი — ნამდვილი ღლყატორი ყოველი მიმართულებით უშევებს რაღიოტალლებს, რომლებიც




თევზი შტეფია

აირეკლება საგნებისაგან და მიიღება სხვა ორგანოთ. ასეთი ოვისებების შემწეობითაა, რომ მირმარუსი აჯგილიდან ადგილზე მიცურავს არა მარტო თავით, არამედ ზოგჯერ კულით წინ, და არცერთ შემთხვევაში იგი მცენარებს არ უჯახება.

მირმარუსი არა ერთადერთი ცხოველი, რომელიც აღმურვილია ღლყატორით. ამერიკის წყლებში მოიპოვება თევზი გიმნოტიდი, რომელსაც ისეთივე ელექტრული ორგანო აქვს, როგორც მირმარუსს. გიმოტიდები წყლის ხშირ მცენარებს შორის ცხოვრობენ და ისინი ჩვეულებრივი თევზებივით როდი დაცურავენ, არამედ დატანა მცენარიდან მცენარეზე და სწრაფად და მოხერხებულად მიძრებან ვიწრო ხერელებში.

თევზებს შორის არიან მსროლელებიც. ასეთია, მაგალითად, თევზი შტეფია. ესაა სნაიპერი, რომელიც 1,5—2 მ-ის მანძილზე



თევზი რაღიოტალლებით

ესერის და აშენებს მწერებსა და ბუზებს. სროლის დიდი უნარით მან ისე იმოქმედა ადამიანთა წარმოდგენაზე, რომ ტაილანდში მას ტაძრიც კი აუგას.

შენიშვნას ჟა მწერს, შეცია შეუმჩნევლად უახლოვდება მას, ირჩევს მოხერხებულ პოზიციას, შემდეგ წყლიდან ამოყოფს ტუჩს და ისერის წყალს; მიზანში მოხელრის შემთხვევ-



თევზი ხტუნია

გაში, თავს ესხმის ჩამოვარდნილ ბუზს და ყლაპაგს.

სიღილით იგი დაახლოებით 20—სმ-ია, ცხოვრობს ზღვაში ინდოეთის, ინდონეზიისა და ჩრდ. ავსტრალიის სანაპიროებზე.

ბევრ თევზს კიდევ უფრო საკერველი სანადირო „მოწყობილობა“ აქვს. ასეთია. მაგალითად, შებტევზა, რომლის იარაღისა ვეშაპებსაც კი ეშინიათ.

ამას გარდა, არის თევზანკესაც, რომელიც კუდზე მოთავსებული „ფარნით“ ოკეანის წყლიდან მკრთალ მტრედისფერ სინათლეს უშვებს. ასე მიიტყუებს იგი თავის შესვერპლს, რომელსაც იქრენ და ჭამს.

შეხვიას მეზობლად ინდოეთის, ინდონეზიისა და ჩრდ. ავსტრალიის სანაპირო წყლებში ცხოვრობს თევზი. რომელიც ბევრად ჩამოგავს ბაყაყს; ბაყაყით დატრი, ადის ქვებზე, ხებზე. ამ თვისებათა გამო მას ხტუნიას უწინდება.

ხტუნიას შეუძლია შეხტეს და აცოცდეს ხის შტოზე, რომლიდანაც ხტება წყალში, მიწაზე და ქვებზეც კი. იგი ისე შეეცუბულია ხმელეთზე ცხოვრებას, რომ ქვირითსაც კი მიწაში გამოთხრილ პატარა ორმოში დებს.

ზოგჯერ ხტუნიები თავგანწირვით შეებრძოლებან ხოლმე, გააფრებით კბენენ ერთ-

მანეთს. დაქანცულნი დროებით დაზაფლებიან, რათა დაისცენონ და ღონე მოიკრიფონ, რის შემდეგ კვლავ გააფრებით უძვერებიან ერთურთს.

## გატი — ადამიანის მიზოგარი

ჩვეულებრივად მიაჩნიათ, რომ ცხოველებს შორის ადამიანის ყველაზე საუკეთესო მეგობარი ძალია. მაგრამ გამოცდილი პირები ირჩმენებიან, რომ ყოველი პირუტყვია შეიძლება იქცეს ადამიანის მეგობრად.

ამის მაგალითს წარმოადგენს ბატი მარცელინ, რომელიც ერთ ბუნეოსაირსელ მოქალაქეს ეკუთვნის.

ბატი აცილებს თაეს პატრონს ავტობუსის გაჩერებამდე, ხოლო საჟამოს გამოდის ხოლმე მის შესაგებებლავ და ფარდულში გაზეთსაც კი ყიდულობს.

## „ანტიკოლუსტრიმის“ აღმოჩენა

ოკეანოგრაფიული რუკები უჩვენებს, რომ დიდი ზღვის დინების მაერ წალებული წყალი ბოლოს და ბოლოს უკანვე ბრუნდება. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზღვის დინება — ესაა გიგანტური მორევი მუდმივი წრისებრი მოძრაობით. ამის დამტკიცება შეიძლება რუკაზე ერთი თვალის გადავლებით.

დიდი ხანი არაა სწავლული-ოკეანოგრაფები მივიღენ დასკვნამდე, რომ არსებობს არა მარტო ზედაპირული „საპირისპირო დინებები“, არამედ წყალებებში დინებიც: უზარმაზარ მანძილზე დინების მიერ წალებულ წყალს საწყის ავგილზე შეუძლია დაბრუნდეს დიდ სიღრმეზეც.

ამასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო თეორიული მოსაზრება, რომ პოლფსტრიმი შედგება არა ერთი, არამედ ორი ნაკადისაგან: ზედაპირულას, რომელიც აღმოჩნდილ იქნა XVII საუკუნეში, და სიღრმისეულისაგან. პოლფსტრიმი მიღის ჩრდალო-აღმოსავლეთ მიმართულებით ამერიკიდან ევროპისაკენ, ხოლო სიღრმისეული დინება მისი საპირისპირო — სამხრეთ-დასავლეთური უნდა იყოს.

ცდების გზით ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოწყონ ექსპედიცია ამერიკელი მცირენერის, ველაპოლის თეანოგრაფიული ინსტიტუტის დირექტორის სტომების მეთაურობით. ცდების არის მდგომარეობდა იმაში, რომ პოლფსტრიმის სარტყელში რამდენიმე ადგილს სხვადასხვა სიღრმეზე უშევებდნენ ალუმინის ტივტივებს გენერატორით, რომლებიც გამოასივებდა ულტრაბეგრით ტალღებს. 1300 მეტრის სიღრმემდე ტივტივები მიღიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით, რომელც დინების ზედაპირზე. 1300-დან


1800 მეტრის სიღრმეზე ტივტივები ადგილია დან არ იძროდა. ეს მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ამ ზონაში წყალი უძრავია. მაგრამ 1800 მეტრის სიღრმეზე ქემოთ ტივტივები მოძრაობას იწყებს სამხრეთ-დასავლეთით. ამრიგად, დამტკიცებულ იქნა წყალებებში დინების — „ანტიკოლუსტრიმის“ არსებობა.

ამებად გიმდინარებას მშავება, რათა ამგარებებ ხერხით გამოკვლეულ იქნებს ოკეანის სხვა დინებები. თუმცა თეორიულად „საპირისპირო დინებათა“ არსებობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მაგრამ პრაქტიკულად იგი დამტკიცებული უნდა იქნეს ცალკეულ შემთხვევაში.


## ანანასის ხე

ბოლივიისა და პერუს მაღალმთიან ადგილებში, ზღვის დონიდან 3700—4200 მეტრის სიმაღლეზე, გვხვდება სამხრეთ ამერიკის იშვიათი მცენარე — „პუი რაიმონდი“ ანუ ანანასის ხე.

ეს სახელწილება პუიამ იმიტომ მიიღო, რომ თავისი შესაგედაობით იგი თითქოსდა მოგვარნებს ანანასის ბუჩქს. თუმცა მას ანანასის ხეს ეძახიან, მაგრამ ანანას ის არ ისხას.



პუი მაღალი მცენარეა, მისი სიმაღლე 12—15 მეტრია. მსხვილი, მოკლე ღეროდან ყოველმხრივ გაღმოყიდებულია გრძელი და ვიწრო ფოთლები. ძალიან იშვიათად, დაახლოებით 150 წელიწადში ერთხელ, პუის მწვერალიდან ვითარდება უზარმაზარი თანაყვავილები, რომელიც ათასზე მეტი ყვავილისაგან შედგება. ყვავილობა იმდენად ფიტაციას მცენარეს, რომ ამის შემდეგ ისინი ჩვეულებრივ კვდებიან.



# პატივის შეკითხვები

## ქ. სამთხოვის. გ. რუსების

**კითხვა:** რატომ აქვს ახეთი სახელწიფება ესპანეთის ჩრდილოეთი მდებარე იძერის მოებს და არის თუ არა იგი რამე კავშირში ჩენი სამშობლოს წარსულთან?

**პასუხი:** ამ მთებს ესპანეთში მეზეტის ზევნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს. მისი სახელწიფება არაა დაკავშირებული აღმოსავლეთი საქართველოს ძეველ სახელთან — იძერისათან, არმენი იგი უკავშირდება ძეველი ხალხების — იძერების სახელს, რომელ-გაც სახლობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, მის ახლო მდებარე კუნძულებსა და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იძერების წინაშები ნეოლითის ეპიქილან ესპანეთის სამხრეთ ნაწილში ცხოვრიბდნენ, ხოლო შემდეგ მთელი პირენეის ნახევარკუნძული და-იტირეს და მის ფარგლებსაც გასცდნენ. რომაელების ბატონიბის დროს და მის შემდეგ იძერები რომაელებს შეერივნენ. შერევას მხარედ ბასები გადაურჩნენ.

აღსანიშნავია, რომ წარსულში პირენეის ნახევარკუნძულს იძერის ნახევარკუნძული ერქვა. ხოლო ხელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილს, პიტიუზის კუნძულებსა და გიბრალტარის სრუტეს შორის — იძერის ზღვა.

ზოგი ძეველი ისტორიკოსი — სტრაბონი, აპიანე და სხვები აიგოვნენ ესპანეთის იძერებს კავკასიის იძერებთან (ე. ი. ქართველეთან). ამ აზრს იზიარებდნენ გვიანდელი ქართველი მეცნიერები, ვარრგი მთაშორიდელი და სხვები. ზოგიერთების აზრით კი სახელწიფებათა თანხველრა ენობრივი ნათესაობის შედეგია, რაც შესაძლებელია არ იყოს საფუძველს მოკლებული, თუ მართლაც არსებობს ნათესაობა, ერთი მხრივ, ბასურასა და ქართულ ენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბასურასა და იძერულ ენებს შორის, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს.

## თბილისი. გ. გიორგობიანს, გ. გგალობლივილს

**კითხვა:** სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის?

**პასუხი:** ევროპა და აზია ერთად უზარმაზარ კანტინეტს — ევრაზიას ჰქმნის. ზოგი მეცნიერი ევროპას განახილავს როგორც აზიის უზარმაზარ ნახევარკუნძულს. რომელიც დასავლეთისაკენაა მიმართული, ზოგი კი — როგორც ცალკე ქვეყნის ნაწილს, ასევე ცალკე კანტინენტს. მართლაც, ევროპა არ ატარებს აზიისათვის დამახასათებელ ბერ თვისებებს, რის გამო იგი შეიძლება გამოყოფილ იქნეს ცალკე ქვეყნის ნაწილად (და არა ცალკე კანტინენტად), მაგრამ ევროპასა და აზიას შორის მეტივით საზღვრის უქანლობის გამო, მათ შორის საზღვრის საკითხი დიდი ხანია მსჯელობის საგანს წარმოადგენს და იგი საბოლოოდ დღესაც არაა დაღვენილი.

მეცნიერთა უმრავლესობა საზღვარს ევროპასა და აზიას შორის ატარებს ურალის ქედზე, უზროვ სწორად ურალის ქედის აღმოსავლეთი ფერდობის ძირში, შემდეგ მდ. ურალზე (ნე მდ. ებბაზე) და კასპიის ზღვაზე. ყველაზე ღიღ დავას იწვევს საზღვარიკასპიის ზღვის დასავლეთით. მეცნიერთა ნაწილი საზღვარს კუმა-მანიჩის ღრმულზე ატარებს. ამ შემთხვევაში კავკასია მთლიანად აზიას მიეკუთვნება. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი საზღვარს კავკასიონის ქედის თხემზე ატარებს, რაც სრულიად უმარტებულოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან საზღვრის ამნაირად გატარებისას კავკასიაც და კავკასიონის ქედია კი იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ჩრდილო ნაწილი ევროპას მიეკუთვნება, ხოლო სამხრეთი — აზიას.

პროფ. ნ. გვაზლეცის მიხედვით, საზღვარი ევროპასა და აზიას შორის გატარებულ უნდა იქნეს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთის ძირში და კავკასიონის ქედი ამიერკავკასიასთან ერთად აზიას უნდა მიეკუთვნოს.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა გეოგრაფთა დადი ნაწილი კავკასიის ევროპისამდე მიუკუთვნების მომხრეა, გამოღიან რა იქიდან, რომ კავკასია თავისი ბუნებით უფრო ახლო დგას ევროპის ქვეყნებთან (განსაკუთრებით ხელთაშუა ზღვის ქვეყნებთან), ვიდრე აზიასთან, ხოლო ჩრდილო კავკასია აღმოსავლეთ ევროპის ვაკის სამხრეთი ნაწილის უშაულო გაგრძელებაა და ბუნებრივი თავისებურებებით მას უფრო წააგავს.

ღიღი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-15 ტომში მოთავსებული სტატიის — „ევროპის“ — თანავტონი პროფ. ბ. უაბრინინი ევრაპისა და აზიის საზღვრების ყველა ვარიანტის განხილვის შემდეგ უპირატესობას ანიჭებს კავკასიის ევროპის საზღვრებში მოთავსებას.

ამინიჭად, ბუნებრივი, პოლიტიკურ-აღმინისტრული და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მოხერხებულად მიაჩნიათ კავკასიის მთლიანად ევროპისამდე მიუკუთვნება და ევროპასა და აზიას შორის საზღვრად სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ჩათვლა.

## თბილაგის რაიონი. სოფ. კურდლელაშვილი. გ. მახითაშვილს

**კითხვა:** თუ შეიძლება ატომური ენერგიის გამოყენებით ქარებისა და ზღვის ლელვების შეჩერება?

**პასუხი:** თქვენ მიერ დასული საკითხი — ატომური ენერგიის გამოყენებით ქარებისა და ზღვებზე ლელვების შეჩერების შესახებ ჰავის შესაცვლელად ატომური ენერგიის გამოყენების საკითხს უკავშირდება. ჰავის შესაცვლელად (ან ჰავაზე ზემოქმედებისათვის) ატომური ენერგიის გამოყენების პერსპექტივა საქმაოდ დიდია, რასაც უფრალება მიაქციოს როგორც სსრ კავშირის, ისე სხვა ქვეყნების სწავლულებმა. ჰავაზე ზემოქმედების მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების თეორიული დასაბუთება დიდ დავას არ იწვევს, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება მრავალ სიძნელეებთანა დაკავშირდებული. ამჟამად სწავლულები ამ მხრივ მუშაობენ და მოსალოდნელია, რომ ისინი გამონახავენ ამ საკითხის დადგებითად გადაწყვეტას, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ატომური ენერგიის საშუალებით ჰავის შეცვლა.

ი. ავხაზავა

# მაცხარე

## კრისტოდი

❶ ალმა-ატის მახლობლად აგებული იქნება ყაზახეთის სარ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი. გათვალისწინებულია ბირთვული რეაქტორისა და ციულოტრონის აგება. ფიზიკის კორპუსში მოთავსდება 15 ლაბორატორია.



❷ მანილაში (ფილაპინები) გათვალისწინებულია ატომის დიდი კვლევითი ცენტრის მშენებლობა. მის აგებაში ძირიად მონაწილეობას დებულობს ამერიკის შეერთებული შტატები. რომელიც ვარაუდობს ამ ცენტრში მოაწყოს რეაქტორი.



❸ საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტატუტი წარმატებით ატარებს ცდებს საკავები პროდუქტების რადიაციული სტერილიზაციისა და პასტერიზაციის დარღვევი. საკავები პროდუქტების მოსხივება წარმოებს სწრაფი ელექტრონებით და უ-სხივებით. მაგალითად უმი ხორცი სტერილიზებული მოსხივებით ინხება მთელი წლის განმავლობაში და არ კარგავს თავის თვისებებს.



❹ ხარუელში (ინგლისი) ამჟავდა ატომური რეაქტორი „ნეპტუნი“. ახალ რეაქტორზე ჩატარებული ექსპრიმენტები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნებს აუცილებელი კონსტრუქციული გაანგარიშებანი იმ წყალქეშა ნავის სახმელეთი რეაქტორის პროტოტიპის დაგვემარებისას. რომლის მშენებლობის სამუშაოებიც უკე დაწყებულია. „ნეპტუნში“ საწვავის სახით გამოყენებული იქნება გამდიბრებული ურანი, ხოლო დამყოვნებლად ჩეიზულებრივი წყალი. ამ რეაქტორისათვის სპეციალური გამაგრილებელი სისტემა საჭირო არაა, რადგან მისი თბეური სიმძლავრე რამდენიმე ვატია.

❺ გროტონში (კონექტიკუტის შტატი, აშშ) წყალში ჩატარებულ და საექსპლოატაციოდ გადასცეს მესამე ატომური წყალქეშა ნავი „სკერტ“. ეს ნავი ამერიკული ატომური წყალქეშა ნავის სერიულ პროტოტიპად ითვლება.




❻ ინდოეთში ემზადებან აზიაში ყველაზე მსხვილი მიწისქვეშა პიდროელექტროსადგურის ასაგებად. იგი მოთავსებული იქნება სახიადის ქედის წილში. ბომბეის სამარეთადმოსაკელეთთათ. კაშხალი გადაეტავს მდ. კოინს და შექმნის ხელოვნურ ტესტს. რომლის მოცულობა ერთ მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი იქნება.

პიდროელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრეა 500 ათასი კილოვატი. ელექტროენერგია გათვალისწინებულია ბომბეისათვის, რომლის მრეწველობას არ ჰყოფილია ნაშარი.



❽ ქალაქ ბრნოში (ჩეხოსლოვაკია) ტვირთის გადასაცვლებლად წარმატებით გამოიყენება შეცულ-მფრენი.

ქალაქის ერთ-ერთი შენობის სახურავზე მ. ვილის კონსტრუქციის შეცულმფრენის მეშვეობით დადგმულ იქნა 3,5 ტონა წონის ფოლადის კონსტრუქცია. ამჟერი ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იქნებოდა სულ ცოტა ორი კვირა.



### ჰორიზონტალური:

1. ელექტრული მუხტი; 5. ხომალდის დაგვერდება უთანაბრო დატვირთვის გამო; 7. ჭაბის მცინარეულთა ნაჩერების არასრული დაშლის პროდუქტი; 8. სადურგლო იარაღი; 11. ქვანახშირის მშრალი გამოხდის პროდუქტი; 14. ჩამოსასხმელი ფორმა; 15. მოძრავი სურათების საჩვენებელი დაფა; 16. მეცნიერება მატერიისა და ენერგიის გარდაქმნათა შესახებ; 18. დეტალების ერთმანეთთან შესაერთებელი ნაწილი; 21. სითხის მოცულობის საზომი ერთეული; 24. მოყვითალო ფერის მთის დანალექი ქანები; 25. მეცნიერების დარგი; 26. მექანიკურ ენერგიად სხვა ენერგიის გარდამქმნელი; 27. მატერიის ნაწილაკი, რომელიც ატარებს უარყოფით ელექტრულ მექანიზმებს.

### გერტიკალური:

1. მეორე რიგის ბრტყელი მრუდი; 2. რაღიოტალების დასაჭრად გაბმული მავთული; 3. დადებითი ელექტრონი; 4. ელექტრობის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს გარკვეული სხეული; 6. მოძღვრება ელექტრულ სიღილეთა გაზომვის მეთოდების შესახებ; 9. მიწის საზომი ერთეული ინგლისა და ამერიკაში; 10. სახლის ნაწილის საძირკვლად ან სარტყლად დადგმული გათლილი ძელი; 12. გამოუწვავი აგური; 13. ლითონის დასამუშავებელი მანქანა; 17. ძელებური სიგრძის საზომი ერთეული; 18. ელექტროლუმებლის ნაწილი; 19. ორანძიანი იალქნიანი ხომალდი; 20. გეზზე მომუშავე; 22. უარყოფითად დამუხტული იონი; 23. სპირტის რადიკალი.

# მეცნიერება

...ქუჩაში თავდაყირა დამხობილი მაგიდის ირავლივ ხალხი ირეოდა. ცოტა მოშორებით ეგღო მუჟაყა წარწერით — „ქემიური სითხე ლაქების ამოსაყვანად“.

ქუჩაში მომავალი მეეტლე თავის მგზავრს მიუპრუნდა, ხალხისკენ მიუთითა და თქვა:

— შეხეო, ისევ ქიმიკოსსა სცემენ. მგზავრმა სიცილით მიუგო:

— ასეთი ქიმიკოსებისაგან მეცნიერება ვერას იხეორებს, ხოლო მყიდველები ტანსაცხელს გაიფუჭებენ.

შეეტლებ არ იცოდა, რომ მგზავრი, რომელსაც ის ესაუბრებოდა, უდიდესი ქიმიკოსი დიმიტრი ივანეს ძე მენდელევი იყო.

## — ① —

...ცურუბენიერებით სახელგანთქმულ ამერიკელ ჯემს ჯონსს ესტუმრა ფილოსოფიის ახალგაზრდა პროფესორი.

მათ დაიწყეს დავა.

ჯემს ჯონსა განკაცადა, რომ მას შეუძლია გააგოს თანამოსაუბრის გზინდრივი შესაძლებლობა. გაუსინჯა რა კეთა, ჯონსმა უთხრა ახალგაზრდა სწავლული:

— ბატონი პროფესორი, მე ვამტკიცებ, რომ თქვენ არა კეულელებრივად განვითარებული მეხსიერება გაქვა.

— ეს მე ძალიან მახარებს, — უპასუხა მას ფილოსოფიოსმა, — მხოლოდ გთხოვთ — დამწერეთ, რაც მითხარით, თორებ მე ყველაფერი ახლავე დამავიწყდებათ.

## — ② —

...ლონდონელი ინჟინერების ნადიმზე სინათლე ჩაქრა.

— ელექტროსალგურიდან ბოლიშ იხილიან და გვატყობინებრი, რომ 15 წუთის შემდეგ სინათლე აინთება, — განაცხადა პირმა, რომლის რესტრანშიც მიმღინარეობდა ნადიმი.

აღმქმულ ღრმზე ლამპინება მართლაც აიწოო. — ახლა კი, — განგრძო რესტორანის მეპატრონებმ, — მე გთხოვთ გამობრძანდეთ შეზობელ დარბაზში. იქ ნახავთ კინოკილმს, რომელიც ჩვენ ეს ეს არას გადავიდეთ ინფრაწითელ სხივებში. მას ეწოდება: „როგორ გვეცირა თავი ისინელებში“.

რამდენიმე პირი მაშინვე გაიპარა ნადიმიდან.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

დ. ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი — რადიოტექნიკისა და რადიოელექტრონიკის თანამედროვე გამოყენება	1
საერთაშორისო გამოფენა ბრიუსელში	5
ი. კ უ რ ჩ ა ტ ი ვ ი — ორმობიროული ენერგია მომავლის ენერგიული საფუძველია	8
ა. თ ს ე ფ ა ი შ ვ ი ლ ი — ვაზის ნერგის გამოყვანის კომპლექსური მექანიზაცია	11
ი. ქ უ რ დ ი ა ნ ი, ზ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე — რადიოზონდები	15
ა. ბ ა ს ი ლ ა ი ა — კოსმოსის არენაზე	18
საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ფლაგმანები	22
შ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — კვების პროდუქტების გადასამუშავებელი მანქანები	24
უცხოეთის ტექნიკა	26
ვ. ნ ა უ მ ო ვ ი, ლ. ი უ რ ე ვ ი — შემცვლელები?.. — დაივიწყეთ ეს სიტყვა!	28
რ. ი ა შ ვ ი ლ ი — ტექნიკური პროგრესი ქირურგიაში	32
პარიზის სააეტომობილო გამოფენაზე	36
გ. ჯ ი მ შ ე ლ ი, ნ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე — პილოტოლექტროსადგურის წყალმიმღებთა ახალი კონსტრუქციები	40
შ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ანტარქტიდის კლიმატური პირობები	42
თავისუფალ დროს	44
პასუხი შეკითხვებზე	46

გარეკანის 1-ლ გვ-ზე: ნახ. კ. ყარაშვილისა; ფერადი ჩანართი მიძღვნილია სტატიისადმი — „კვების პროდუქტების გადასამუშავებელი მანქანები“.

**სარჩევაზო კოლეგია: პროფესორი პ. ბარამბიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. დგალი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ელიაშვილი, პროფესორი გ. გაბაძებაძე, არქიტექტორი გ. ლიკითიშვილიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მახალაბეგი (რედაქტორი), ღოცენტო მ. მირიანაშვილი, ღოცენტო გ. ვიზარიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ო. რენაშვილი (რედაქტორის მოადგილე), ღოცენტო გ. ხოხლოვი. მ. ურამაძე (რედაქტორის პასუხისმგებელი მდივანი).**


**მხატვრული რედაქტორი — პ. ყარაშვილი**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხელიძის ქ. № 22. ტელეფ. № 8-46-49**


**Ежемесячный научно-популярный журнал «Мецнieriеба да техника» (на грузинском языке)**

ქაღალდის ზომა 60×92, საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.  
სელმოწერილია დასაბეჭდად 30.4.58 წ., უ 02261, შეკ. № 723, ტირაჟი 9000, ფასი 5 მან.  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 3/5.  
Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР ул. Ак. Чхеретели 3/5






**ОПІ-30** მარკის პრევმატური სწრაფად  
მოქმედი საფრქვევი, ქვემოთ — საფრქვევი მუ-  
შაობის დროს



## განეანები სოჭების გეუგეორგის გავნებებთა ნინეაღმდეგ საბაზო გადახდა



**ОЖУ-5** მარკის უნივერსალური სასხურე-  
ბელ-საფრქვევი, ქვემოთ — ცხვრის დამუშავება  
**ОЖУ-5** მარკის სასხურებელ-საფრქვევით



៩២៤០ ៥ ៩៩៦.

